# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 9 აპრილი, 2009 წელი.

№ 67 (6168)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


# დღეს რუსთაველზე, სისხლისფერი ტიტების ცეცხლი!... 4



რუსთაველის №20-ში 9 აპრილის აქციების დროს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაცია დაფუძნდა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა ზაქარია ქუცნაშვილმა განაცხადა, შეიქმნა საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი, რომელიც მონიტორინგს განახორციელებს აქციების დროს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებზე.

მონიტორინგის შედეგებზე 9 აპრილს სამი პრესკონფერენცია გაიმართება, კერძოდ 13:00 საათზე, 16:00 საათზე და 19:00 საათზე.

გარდა ამისა, აქციის მონაწილეებს შეუძლიათ, 24 საათის განმავლობაში დარეკონ ტელეფონის ნომრებზე – 890 108 108 და 890 109 109. თითოეულ შემთხვევაზე მოხდება რეაგირება, გაიგზავნება საზოგადოებრივი დამცველი, ჟურნალისტი ვიდეოკამერით და ადვოკატი. დარღვევების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტში ჩართულნი იქნებიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ადვოკატები, ჟურნალისტები, სტუდია „რეპორტიორი“, სტუდია „რე“ და „ობიექტივი“.



## 2 კიდევ რა გზა აქვთ მომიტინგეებს „მიშა, გადადექის“ გარდა?



## 5 თუ მოვლენები არაკონსტიტუციური სცენარით განვითარდება, ამით ყველაზე მეტად რუსეთი იხეირებს

## დემოკრატიის სწავლა ისევე შეუძლებელია, როგორც სიყვარულისა 8

## თბილისის ქუჩებში პოლიცია ნადირობს 2





## რა გვასწავლა და რა ვერა 1989 წლის 9 აპრილიდან განვლილმა ოცმა წელმა 6

## როგორ მუშაობდა 9 აპრილს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კომისია 3



### ინფორმაცია

## ღმერთი მშვიდობიან 10 აპრილს გაგვითენებს

**პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილის შეფასებით, „9 აპრილი 10 აპრილის მშვიდობიანი გათენებით დასრულდება“.**

**9 აპრილს მოვლენების განვითარება უფრო გასული წლის 2 ნოემბრის სცენარითაა მოსალოდნელი. დიდი ალბათობაა, რომ ხვალიდან დაიწყოს ზეწოლა მიკროავტობუსების მძღოლებზე. საუბარია ასევე იმაზე, რომ თითქოს იგეგმება მატარებლების შეჩერება საწყისი წერტილიდან საბოლოო წერტილამდე მისვლამდე. რაც შეეხება უშუალოდ აქციის შედეგიანად დასრულების საკითხს, ხელისუფლების შეცვლა დამოკიდებული იქნება საპროტესტო მუხტის მქონე მოსახლეობის სიმტკიცეზე. ეს არ იქნება ერთდღიანი, ერთკვირიანი და, შესაძლოა, ერთთვიანი დაპირისპირება, არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს უფრო ხანგრძლივი, კომპლექსური და მრავალინიციატივიანი ბრძოლა, — დასძინა ცისკარიშვილმა, რომლის შეფასებითაც „პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელიც დღეს გამოცხადდება, დამარცხებული გამოვა ის მხარე, ვისაც ნერვები უმტყუნებს“.**

## პარლამენტში შესვლა შეზღუდული იქნება

**9 აპრილს პარლამენტის შენობაში შესვლას ვერც ჟურნალისტები და ვერც პარლამენტის თანამშრომლები ვერ შეძლებენ, — განაცხადეს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციის დეპარტამენტში.**

**მათივე თქმით, „შრომის კოდექსის“ თანახმად, 9 აპრილი უქმე დღედ ოფიციალურად არის გამოცხადებული.**

**რაც შეეხება 10 აპრილს — აქციის მეორე დღეს, როგორც დეპარტამენტში აღნიშნავენ, 10 აპრილს უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პარლამენტში დაშვება შეზღუდული იქნება. კერძოდ, შესვლა შეზღუდული იქნება ჟურნალისტებისთვის და აპარატის თანამშრომლებისთვისაც.**

## „გადადგნენ ნიკა გვარამია და გია ხუბუა!“

**„ერთიანი სტუდენტური ალიანსი“ განათლების მინისტრს ნიკა გვარამიას, უნივერსიტეტის რექტორს გია ხუბუას ულტიმატუმს უყენებს და 15 აპრილამდე მათ გადადგომას ითხოვს.**

**როგორც უნივერსიტეტის II კორპუსის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ალიანსის ხელმძღვანელმა ლევან ჩიტაძემ განაცხადა, თუ 15 აპრილამდე ნიკა გვარამია და გია ხუბუა არ დააკმაყოფილებენ მათ მოთხოვნას, „ერთიანი სტუდენტური ალიანსი“ პროტესტის რადიკალურ ზომებს მიმართავს, რაც ქუჩის გადაკეტვას და საპროტესტო აქციების სერიას გულისხმობს.**

**ალიანსის წევრები განათლების მინისტრს სასწავლო დაწესებულებებში საღი აზრის ძალისმიერი მეთოდების დევნაში, ხოლო უნივერსიტეტის რექტორს თანხების არამიზნობრივ ხარჯვასა და კორუფციაში ადანაშაულებენ.**

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

### შეთავაზება

## კიდევ რა გზა აქვთ მომიტინგეებს „მიშა, გადადექის“ გარდა?

### „ჩვენი საქართველოს“ ინიციატივა პოლიტიკური კრიზისიდან გამოსასვლელად

**რა შეიძლება პარლამენტის წინ შეკრებილმა ხალხმა დღეს მოითხოვოს? „მიშა გადადექი“? ეს მოწოდება პრეზიდენტს არაერთხელ მოუსმენია, მაგრამ პირდაპირი შედეგი არასოდეს მოუყოლია იმიტომ, რომ სტრატეგიულად ის თავის ოპონენტებს ყოველთვის ამარცხებს. ამ აზრზე ყველა ერთხმად, დიდი ხანია, შეთანხმდა.**

დღევანდელ 9 აპრილის მიტინგზეც ხელისუფლების არაორდინალურ ნაბიჯებს ელოდებიან...



მანიფესტაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით პარტია „ჩვენი საქართველოს“ ხელმძღვანელმა **შალვა ხაჭაპურიძემ** გუშინ პრესკონფერენცია გამართა. გადაშალეთ კონსტიტუცია და კრიზისიდან გამოსავალი სწორედ იქ წერია. ამას ხალხს უმალავენ, მაგრამ გამოსავალი სწორედ საქართველოს კონსტიტუციაშია, — ამბობს იგი.

**კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად კი, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს: 1) დემოკრატიული არჩევნების, 2) რეფერენდუმის და 3) დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით. იმავე მუხლში მითითებულია, რომ არავის არა აქვს უფლება, მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.**

როგორც ბატონი შალვა აცხადებს, 2008 წლის პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევნების დროს ხელისუფლებამ ფალსიფიკაციისა და ძალადობის გზით მოიპოვა ძალაუფლება, რაც სისხლის სამართლის წესით ისჯება. რეფერენდუმის ჩატარებაც უკვე მოითხოვა რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ, მაგრამ ყოველგვარი მოტივაციის გარეშე უარყო ხელისუფლებამ. ამიტომ ხალხს რჩება გზა — ძალაუფლება განახორციელოს დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით.

რას გულისხმობს ეს? — 9 აპრილს პოლიტიკური გამოსავალი სწორედ კონსტიტუციაშია. მიტინგზე შეკრებილი ხალხი წარმოადგენს სრულიად საქართველოს წარმომადგენლობით დელეგატთა კორპუსს. კონსტიტუციიდან გამომდინარე, ხალხმა უნდა გამოიყენოს ხელისუფლებისთვის გადაცემული მანდატის უკან გამოთხოვის უფლება, ხოლო სანაცვლოდ უფლებამოსილების მანდატი დროებით გადასცეს ხალხის მიერ არჩეულ „დიდ სახალხო კრებას“, რითაც დაამყარებს ახალ კონსტიტუციურ წესრიგს: **ამას „კონსტიტუანტის პროცესი“ ეწოდება.**

როგორც ხაჭაპურიძე აღნიშნავს, მიტინგზე შეკრებილი ხალხი უკვე წარმოადგენს დიდ სახალხო კრებას, რომელიც დროებით ხელისუფლებას გადასცემს იქვე არჩეულ 20-30 კაცს, ხოლო მსოფლიოს გასაგონად განაცხადებს, რომ ხელისუფლება და ყველა არჩევითი ორგანო მოკლებულია კანონიერ საფუძველს, და შეჩერებული აქვთ საქმიანობის უფლებამოსილება.

რა შეიძლება მოჰყვეს ამას? — იურისტი უპასუხებს, რომ თუკი უგულებელყოფილი იქნება დიდი სახალხო კრების გადაწყვეტილება და უკვე ყოფილი ხელისუფლება ძალადობრივ ღონისძიებებს განახორციელებს, ეს იქნება თვითმარქვია ხელისუფლების შეიარაღებული დაჯგუფების ძალადობა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამას ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვება. ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ახალი ძალადობა, ყველა შემთხვევაში გამოიწვევს მისი არსებობის კატასტროფას.

მაგრამ პარტია „ჩვენი საქართველოს“ ლიდერს იმედი აქვს, რომ მდგომარეობა აქამდე არ მივა, რადგან სახალხო კრების გადაწყვეტილება უმალვე გახდება ცნობილი მსოფლიოსთვის, ჯარისა და პოლიციისთვის და ხალხის ნებას წესით, ვერავინ შეეწინააღმდეგება.

სახალხო კრება კი კონსტიტუციაზე დაყრდნობით მიიღებს ძალზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ-სამართლებრივ გადაწყვეტილებებს. ბუნებრივია, სახალხო კრება მანამდე გააგრძელებს მუშაობას, ვიდრე განსაზღვრული არ იქნება თავისუფალი არჩევნების ჩატარების ვადები და სათანადო პირობები, ვიდრე არ შეიქმნება სტაბილიზაციის სპეციალური გარანტიები.

**შალვა ხაჭაპურიძეს ეს იდეა დიდი ხანია აქვს, თუმცა მის გახმიანებას ადრე ერიდებოდა, რადგან ხელისუფლების საპასუხო რეაქციას ერიდებოდა, მაგრამ იურისტი „9 აპრილის საზოგადოების“ წევრია და ამ გადაწყვეტილების შესახებ კომიტეტს შეუთანხმებს.**

**ბატონი შალვა იმედოვნებს, რომ 9 აპრილის აქციით საქართველოში საფუძველი ჩაეყრება კონსტიტუანტის ახალი ისტორიული მნიშვნელობის დასაწყისს.**

**ასე რომ, საბოლოო სიტყვა ხალხს ეკუთვნის და შევხედოთ, გამოიყენებს თუ არა ის თავის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას.**

**თეა მოსია**

### გაუტიეს!

## თბილისის ქუჩებში პოლიცია ნადირობს



**ქვეყანაში შექმნილი უკიდურესად მძიმე კრიზისული მდგომარეობით თავზარდაცემული და პოლიტიკურად გაცვედანებული სააკაშვილის ხელისუფლება ერთადერთ გამოსავალს მოსახლეობის დატერორებაში ხედავს. ბოლო პერიოდის მანძილზე „ნაცმოძრაობელი ჩიტები“, ჯერ იყო და, დიალოგის მოთხოვნით ლამის ფეხქვეშ გაეგნენ საზოგადოების მხარდაჭერით ზურგშემაგრებულ ოპოზიციას, მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ ამით ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევდნენ, უკიდურეს ზომებზე გადავიდნენ — თბილისის ქუჩებში პოლიციამ ნადირობა დაიწყო, იჭერენ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს და პირდაპირ ემუქრებიან: 9 აპრილის აქციაზე მისულს თუ დაგინახავთ, მერე რაც მოგივა, საკუთარ თავს დააბრალეო.**

დრო გვიჩვენებს, რამდენად სიკეთის მომტანი იქნება სააკაშვილის რეჟიმისთვის ეს მეთოდი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — პოლიცია მართლა იმახსოვრებს დაკავებულ პირებს სახეზე და შესაძლოა მათ მიმართ რამე პროვოკაციები განახორციელოს. სინდისი დაუშლით თუ რა? ქართულ პოლიციას, ისევე როგორც ხელისუფლებას, დიდი ხანია ნამუსი გარეცხილი აქვს და სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის ხელთათმანად გვევლინება.

ადრეც ბევრი მსმენია პოლიციის „ტერორისტულ აქტებზე“, მაგრამ სიმართლე გითხრათ, სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცადე, არ მეგონა, თუ მთლად უდანაშაულო და მშვიდობიან მოქალაქესაც ესხმოდნენ თავს. ამ ორი დღის წინათ, სამწუხაროდ, დავრწმუნდი ამაში და გულწრფელად გეტყვით, შემეშინდა კიდეც...

ღამის ათ საათზე ნაძალადევში — სააკაძის ქუჩიდან მანჯგალაძის ქუჩისკენ მიმავალი, ორმა პიროვნებამ გამაჩერა. ვინაობა მკითხეს და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მომთხოვეს. საბუთი თან არ მქონდა, მაგრამ ვუთხარი, აქვე ახლოს ვცხოვრობ და შემიძლია მოვიტანო-მეთქი, თუმცა ისინი არც დაინტერესებულან ჩემი „ნამდვილი“ ვინაობით. ერთ-ერთმა ჯიბეები გამიჩხრიკა და დაკვირვებით შემათვალიერა, რის შემდეგაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მათ მანქანაში ჩაჯდომა მომთხოვა.

წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა, ორივე ისეთი აღრენილი ჩანდა, რომ ვიფიქრე, ერთი ზედმეტი სიტყვა რომ წამომცდეს, შუბლზე იარაღს დამადებენ და შეიძლება ჯიბეშიც რამე ჩამიცურონ-მეთქი... ამიტომ „კანონს“ დავემორჩილე და მანქანაში ჩავჯექი.

ჩემი და პოლიციელების დიალოგი „ჩვეულებრივად“ წარიმართა, ისინი დანაშაულს „მტენიდნენ“ (ვიღაც ქალბატონისთვის, რომელიც იქვე მანქანაში იჯდა, ჩანთა წაგირთმევია და დაუბრუნეოძ, მე კი დაბნეული და გაოგნებული ბოლომდე ვერ ვხვდებოდი, ვინ იყვნენ და რა უნდოდათ. ბოლოს ერთ-ერთმა (საჭესთან მჯდომმაძ ცოფიანი ძაღლივით შემომხედა და მითხრა, შენ ისეთი ტიპი ჩანხარ, 9 აპრილის აქციაზე ასპროცენტიანი მიმსვლელი ხარო... მერე რა მოხდა შე პოლიციელო კი არა და გონებით პროვინციელო-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ენას კბილი დავაჭირე. ჰოდა, პოლიციელებმა მალე გამისტუმრეს. მანქანიდან რომ გადმოვდიოდი, ერთ-ერთი გამეცნო, ზაზა ხომასურიძე ვარო (მეორეს სახელი და გვარი ვერ გავიგეძ.

მოკლედ ჩემი ოდისეა ამით დასრულდა, მაგრამ მეორე ღამეს იმავე ადგილზე და იმავე დროს ისევ დამაკავეს, ოღონდ სხვებმა. იგივე კითხვები დამისვეს, იგივე დანაშაულის „შემოტენვა“ დამიპირეს და რაც მთავარია, კვლავ 9 აპრილი მიხსენეს... მიხსენეს და თანაც როგორ! — ხმაში ზიზღი და შიში უთრთოდათ. იმ წამსვე გავიფიქრე, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ხელისუფლებამ რომ აქციის დარბევა გადაწყვიტოს, ესენი სიამოვნებით დაერევიან მომიტინგეებს-მეთქი... იმედია, ვცდები...

ხელისუფლება მართლაც ყველაფერზე წამსვლელია საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად, მაგრამ მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, გაჰყვებიან თუ არა მას ძალოვნები? საღად მოაზროვნე არც პოლიციის მაღალჩინოსანი და არც რიგითი თანამშრომელი, რა თქმა უნდა, თავისი სურვილით არ აიღებს ხელში „დუბინკას“ მომიტინგეთა წინააღმდეგ, მაგრამ საკითხავიც ეგაა — არიან კი ქუჩა-ქუჩა „დამნაშავის“ მეძებარი ძალოვანები საღად მოაზროვნენი?

საეჭვოა და მეტიც, ჩვენი „მაწანწალა“ პოლიცია იმასაც ვერ აცნობიერებს, რომ მათი მიშა მარჩენალის დღეები დათვლილია, არაფერს ვამბობ მერაბიშვილის ჯეიმს ბონდისეულ გამოხტომებზე, რამაც ბოლო წლების მანძილზე სამართალდამცავებს ლამის კანონიერი ბანდიტების იმიჯი შესძინა...

აქვე უნდა ითქვას, რომ პოლიციის მიერ მოსახლეობის დატერორების მცდელობა არა მარტო აღიზიანებს და აშინებს საზოგადოებას, არამედ კიდევ უფრო საპროტესტოდ განაწყობს, რაც თავისთავად ოპოზიციის წისქვილზე მიუშვებს წყალს.

მე პირადად, სიმართლე გითხრათ, არც ვაპირებდი 9 აპრილის აქციაზე მისვლას, მაგრამ პოლიციის „აქტიურობამ“ ისე დამაინტრიგა, გადავწყვიტე, ათეულ ათასობით მომიტინგის გვერდით დავდგე... ამისთვის დიდი მადლობა პოლიციასაც და ხელისუფლებასაც...

...მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და, თბილისის ქუჩაში სიარული ღამის ათი საათის შემდეგ სახიფათოა. არა იმიტომ, რომ ქუჩები ბანდიტებითა და ავაზაკებითაა სავსე, არამედ იმიტომ, რომ პოლიციამ ნადირობის სეზონი გამოაცხადა და ყოველ კუთხეკუნჭულში ახალ მთვარეზე სისხლს მოწყურებული ვამპირებივით დაძრწიან. ყველგან და ყველაფერში სახელმწიფო გადატრიალების საშიშროებას ხედავენ, ახალგაზრდებს ჯიბეში იარაღს „უტენიან“ და მერე ტერორისტად რაცხავენ. ერთი სიტყვით, მოსახლეობაში ტერორი მძვინვარებს, რომლის სათავეც და ბოლოც თავის რეზიდენციაში გამოკეტილი, შიშით და „ნაცისტური“ ფსიქოზით შეპყრობილი სააკაშვილის ფანტაზიებია.

**...ღმერთმა ფანტაზიები ნუ მოაკლოს ბატონ პრეზიდენტს, მით უფრო ახლა, როცა გასაჭირშია და გამოსავალს ვერ პოულობს. ისე, მომავალში იქნებ უფრო დასჭირდეს „ფანტაზიორობა“, როცა ვაითუ სულაც ერთ ოთახში აღმოჩნდეს და არც ხმის გამცემი ეყოლოს ვინმე...**

**ჯაბა ჟვანია**

# დღესაც, 20 წლის შემდეგ...

## აი, როგორ მუშაობდა მაშინ ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კომისია

***1989 წლის 9 აპრილი იყო მწუხარების, მაგრამ იმავდროულად სიამაყისა და ღირსების დღე, რომელმაც ერი გაამთლიანა.***

***საბჭოთა არმიის ნაწილებმა მშვიდობიანი მომიტინგეების დასარბევად გამოიყენეს სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებანი და ალესილი ნიჩბები. დაიღუპა 18 მომიტინგე, დაშავდა და მოიწამლა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე.***

***ქართველმა მეცნიერებმა შეძლეს, გამოეკვლიათ ქიმიური იარაღის სახეობანი, მომწამვლელ ნივთიერებათა შემადგენლობა. მსოფლიო საზოგადოებას ამცნეს საბჭოთა არმიის მიერ ჩადენილი ბარბაროსული მოქმედების შესახებ.***

***დღეს ჩვენ ვიხსენებთ ზოგიერთ დეტალს, რომელიც ამ გამოკვლევებს შეეხება.***

1989 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში საქართველოს უმაღლესი საბჭოს 9 აპრილის ტრაგედიის გამომკვლევ კომისიასთან შეიქმნა ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისია. მანამდე (13 აპრილიდან) მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენების საკითხს განიხილავდა ჯანდაცვის სამინისტროსთან შექმნილი სამედიცინო კომისია. ანალიზები ტარდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრაზე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიულ-ქიმიურ ლაბორატორიაში, ამ სამინისტროს ქრომატოგრაფიულ ცენტრში, რესპუბლიკურ ქრომატო-მასპექტრომეტრულ ცენტრში (ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში). როცა საავადმყოფოებში გარდაცვლილები და უგონოდ მყოფნი მიიყვანეს, სამედიცინო პერსონალმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პრესაში გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაცია, თითქოს მიტინგის მონაწილენი წარმოქმნილი „ჭყლეტის“ მსხვერპლნი გახდნენ, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და საქმე გვქონდა ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლასთან. სამხედრო უწყებამ კატეგორიულად უარყო ეს მოსაზრება, მონაჭორი და ცილისწამება უწოდა.

სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიაში“ გამოქვეყნებული წერილი „სიმართლე სიყალბის წინააღმდეგ“ მედიკოსების მოსაზრებათა გაბათილების ცდა იყო.

კინოსტუდიაში მოწყობილი განხილვის დროს მთლიანად გამომჟღავნდა „ლენინსკოე ზნამიას“ პუბლიკაციის არაობიექტურობა. დამსწრეები მხოლოდ 14 აპრილს, ქართველი მედიკოსების კატეგორიული, დასაბუთებული მოთხოვნის და ქიმიური ანალიზების მონაცემთა შემდეგ, იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ ქიმიური ნივთიერება „ჩერიომუხა“ გამოიყენეს. „სი-ეს“-ის გამოყენება კი მხოლოდ 3 მაისს აღიარეს.

რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სასახლის წინ, მის მიმდებარე ტერიტორიიდან და შენობებიდან აიღეთ საანალიზო ნიმუშები. ამ ნიმუშების ანალიზმა ცხადჰყო ქლორაცეტოფენონის შემცველობა 190 სინჯში, „სი-ეს“-ისა 89 სინჯში. 9 აპრილიდან 3 კვირის შემდეგ გრუნტიდან აღებულ ნიმუშებში ქლორაცეტოფენონისა და „სი-ეს“-ის არსებობის დადგენა მიგვითითებდა, რომ დემონსტრაციის დარბევის დროს ეს ნივთიერებები დიდი კონცენტრაციით გამოიყენეს, ხოლო შენობათა სათავსოებში მათი არსებობა მიუთითებდა ცრემლმდენ ნივთიერებათა გამოყენების ინსტრუქციის უხეშ დარღვევაზე. ისიც აღსანიშნავია, რომ „სი-ეს“-ის გამოყენება არ იყო ნებადართული დემონსტრაციის მონაწილეთა დაშლისთვის. იგი საომარი მომწამვლელი ნივთიერებაა. ჩვენთან „სი-ესი“ გამოიყენეს ხელყუმბარის სახით (K-51).

გარდაცვლილთა ტანსაცმლის ანალიზი პარალელურად, სამ ლაბორატორიაში მოხდა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრისა და ჯანდაცვის სამინისტროს სანიტარიულ ქიმიურ ლაბორატორიებში. 15 გარდაცვლილის ტანსაცმლიდან 11-ში ქლორაცეტოფენონი აღმოჩნდა, 10-ში „სი-ესი“, ერთდროულად ორივე 10 შემთხვევაში დადასტურდა.

კომისიამ სამჯერ მიმართა სამხედრო პროკურორს ჩამოთვლილ ნივთიერებაზე ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტების გადმოცემის თაობაზე. წერილებზე პასუხი არ მიგვიღია.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურმა კომისიამ ჩაატარა აღნიშნული ნიმუშების ქრომატოგრაფიული ანალიზი, რის შედეგადაც ცხადი გახდა, რომ ყველა საანალიზო ნიმუში დომინანტ კომპონენტად შეიცავდა მესამეულ ამინს, რაც რეცეპტის მიხედვით არ უნდა ყოფილიყო არც ერთ ნიმუშში. ყველა ნიმუშის კომპონენტს წარმოადგენდა „სი-ესი“, რაც ასევე არ უნდა ყოფილიყო ნიმუშებში, გარდა K-51-სა. ყველა ნიმუში მინორული კომპონენტის სახით, შეიცავდა ქლორპიკრინს. თანხვედრილი შედეგები იქნა მიღებული მაღალეფექტური სითხოვანი ქრომატოგრაფიული მეთოდით კვლევისას. აქედან ცხადია, რომ გამოყენებული ქიმიური იარაღი წარმოადგენდა რამდენიმე მომწამვლელი ნივთიერების რთულ ნარევს.

მოსკოვიდან ჩამოსულმა სამხედრო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ვერ ახსნეს ანალიზის შედეგები. გარემოება გაართულა იმანაც, რომ ქიმიური იარაღის სამრეწველო პროდუქციაზე არ იყო სახელმწიფო სტანდარტები, მათი ანალიზის მეთოდები და არც გამოყენების ინსტრუქცია.

1989 წლის 20 მაისს, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური და სამედიცინო კომისიის მუშაობას გაეცნენ ამერიკელი და ფრანგი ტოქსიკოლოგები, მათი ყურადღება მიიპყრო გარდაცვლილთა ორგანოების მორფოლოგიური კვლევის მასალებმა, რის საფუძველზეც გამოითქვა მტკიცე მოსაზრება, რომ მოწამლულთა კლინიკური სურათი და გარდაცვლილთა სასუნთქი გზების დაზიანების ხასიათი ქლორპიკრინის გამოყენებაზე მიუთითებდა, რაც დადასტურდა მთავრობის სახლის წინ აღებული ნიადაგის გამოკვლევით (ქრომატოგრაფიული და სპექტრალური ანალიზით). იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომისიამ სამხედრო უწყებას თხოვნით მიმართა, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კომისიისთვის გადაეცა მომწამლავ ნივთიერებათა სტანდარტები და მათი ანალიზის მეთოდები, ეს მოთხოვნები უპასუხოდ დარჩა. ბუნებრივია, ასეთ პირობებში კომისიის ექსპერტებს მუშაობა მეტისმეტად რთულ ვითარებაში უხდებოდათ, რადგან იძულებული იყვნენ, ქრომატოგრაფიული მეთოდებით დაეყოთ ქიმიური იარაღის კომპონენტები, გამოეყოთ ინდივიდუალური ნივთიერებანი და მოეხდინათ მათი იდენტიფიკაცია. საჭირო გახდა მათი ანალიზის თანამედროვე მეთოდების დამუშავება და მათთვის სტატუსის მიცემა.



ყოველივე ამან განაპირობა დიდი მოცულობის სამუშაოების შესრულება ჩვენთვის უჩვეულო სფეროში და უმოკლეს დროში. კვლევის შედეგების განხილვისას სამხედრო უწყების ექსპერტებმა გაკვირვება გამოთქვეს ანალიზების მეთოდურ დონესთან დაკავშირებით და დავა არც კი უცდიათ, თუმცა დასკვნაზე ხელმოწერისგან თავი შეიკავეს, მაგრამ ჩვენ მათი ხელმოწერები უკვე გვქონდა ანალიზის ყოველდღიურ შედეგებზე ჟურნალში.

კომისიას დიდი დახმარება გაუწია პუბლიკაციებმა, რომელიც უცხოური ქვეყნების ექსპერტებმა მოგვაწოდეს. ეს პუბლიკაციები ეხებოდა ვიეტნამსა და ავღანეთში საბჭოთა არმიის მიერ გამოყენებული ქიმიური იარაღის გამოკვლევებს და ანალიზის მეთოდებს.

გუშინდელი დღესავით მახსოვს, რა თავდადებით და დაუღალავად მუშაობდნენ 1989 წლის აპრილ-ივნისში უფროსი თაობის და ახალგაზრდობის წარმომადგენლები საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავშეწირულთა დაღუპვის მიზეზების დასადგენად (აკადემიკოსი მალხაზ ზაალიშვილი, პროფესორები: ზურაბ სალია, ზურაბ ზურაბაშვილი, თამაზ ჭუმბურიძე, მიხეილ ვაშაკიძე, ქეთევან ბარამიძე, თამარ ჩიკვილაძე, გიორგი ანთაძე, შალვა ფირცხალავა, ლეილა მამალაძე, შალვა ჩხიკვიშვილი, გია ახალკაცი, არჩილ ბეგიაშვილი და სხვ.).

აკადემიკოს თამარ დეკანოსიძეს მორფოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური კომისიის, ხოლო მე ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კომისიის დასკვნების დაცვა მოსკოვში მოგვიხდა.

ჩვენი ოპონენტები იყვნენ საბჭოთა კავშირის სამხედრო პროკურატურის ექსპერტები, სამხედრო სამედიცინო აკადემიის პროფესორები, საბჭოთა არმიის მთავარი ტოქსიკოლოგები და ა. შ., ძალების თანაფარდობა აშკარად არ იყო ჩვენ სასარგებლოდ, მაგრამ ქართველების მხარეს იყო ჭეშმარიტება და ღმერთი, ამიტომ სიმართლის დაცვა არ გაგვიჭირვებია. ქალბატონი თამარის შეუპოვარი ბრძოლის მოწმე მე ვიყავი, ჩემ ბრძოლას კი ქალბატონი თამარი ადევნებდა თვალს. მაშინ მე ნამდვილად ვიგრძენი ღვთის თანადგომა. ჩემს ცხოვრებაში არაერთი ბრძოლა გადამიტანია, მაგრამ ეს სრულიად განსხვავებული იყო, ჩემთან იყო ღმერთი და ჩემთან იყო სამშობლო.



საექსპერტო კომისიის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა გაზენკომ გაკვირვებულმა გვკითხა: „საოცარია, როგორ შეძელით ჭეშმარიტების დადგენა“.

დღესაც, 20 წლის შემდეგ, უჩვეულო გრძნობა მეუფლება, მოსკოვში გამართულ იმ პაექრობას რომ ვიხსენებ და არ დავმალავ სიამაყის გრძნობაც მეუფლება, რომ იმ აშკარად მტრულ გარემოცვაში მაინც შევძელით ჭეშმარიტების დაცვა და ჩვენი მოკრძალებული წვლილით სამსახური გავუწიეთ სამშობლოს.

**ბიძინა ჭუმბურიძე,**
**პროფესორი**

## თავისუფლება ლომთა ხვედრია


მხოლოდ ღმერთის და პატრიარქის იმედად!..

# დღეს რუსთაველზე, სისხლისფერი ტიტების ცეცხლი!..

**საუკუნის მეხუთედი გასულა მას შემდეგ, რაც რუსთაველის პროსპექტი ქართველთა მოწამებრივი სისხლით შეიღება და დღესაც, 20 წლის შემდეგაც, ვერ შეთანხმებულა ქართული საზოგადოება იმაზე, თუ რა იყო ეს — უაზროდ, მავანთა ამბიციების გამო დაღვრილი სისხლი, რის გამოც მხოლოდ გლოვა და სინანული გვმართებს, თუ თავისუფლების მოპოვებისთვის გაღებული აუცილებელი მსხვერპლი?**

ერთსაც ხშირად გაიგონებ და მეორესაც, რაც, ერთი შეხედვით, ბუნებრივიც არის, რომ არა ერთი „უმნიშვნელო“ დეტალი — უაზროდ დაღვრილ სისხლზე, ამის თავიდან აცილების შესაძლებლობაზე, უმეტესწილად ის ხალხი საუბრობს, ვინც ან თავისი ასაკის გამო იმ დროს ღამის ქოთანზეც ვერ ჯდებოდა დედიკოს დაუხმარებლად ან კიდევ უფრო უარესი — ზრდასრულ ასაკში მყოფებს დილის ტკბილი ძილი მანქანების გაბმულმა სიგნალებმა დაუფრთხეს და მერელა გაიგეს, თუ რა მოხდა.

აქედან გამომდინარე, მსურს, კიდევ ერთხელ გავუზიარო მკითხველს ჩემი, როგორც იმ ამბების თვითმხილველისა და აქტიური მონაწილის, შთაბეჭდილებები, შეფასება თუ ხედვა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი განთიადისა. კიდევ ერთხელ, რადგან ამ ტრაგედიის 13 წლისთავზე გამოქვეყნებული მაქვს მსგავსი პათოსის წერილი. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ჩემი აზრები ამ მიმართებით, ბევრით არაფრით შეცვლილა. უპირველესად კი დიდ შოთას მოვუხმობ —

### „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“

**მოკლედ** და, ამავე დროს, მრავლისმთქმელად ასე ვუპასუხებდი იმათ, ვინც დღესაც იმის იწილო-ბიწილოშია, შეიძლებოდა თუ არა, იმ ტრაგედიის თავიდან აცილება. უფრო ვრცლად კი...

მიტინგები და აქციები მას შემდეგაც ბევრი მინახავს, მაგრამ იმ 9 აპრილის მსგავსი — არაფერი. უფრო მეტიც, სულ მცირე, უხერხული მგონია, მიტინგი უწოდა იმ ამბებს. როგორც მერაბ კოსტავამ სისხლიანი მისტერიის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე მიმართა იქ შეკრებილ ქართველ ერს (და არა ხალხსძ — ეს იყო ერთ-ერთი უდიდებულესი წამთაგანი საქართველოს ისტორიისა.

თუ მაინცდამაინც ვინმეს მიტინგი თუ აქცია უფრო მოსწონს, ვიტყვი, რომ, როგორც წესი, ასეთი აქციები ზემოდან ქვემოთ, ანუ მიკროფონიდან იმართება, მაგრამ იმ ღამეს მოხდა ის, რაც იშვიათად ხდება — ქვემოდან, ანუ აქციის მონაწილეთაგან, იმართებოდნენ მიკროფონთან მდგარნი. ამიტომ გადაჭარბებული და უსამართლო მგონია, რომ ირაკლი წერეთელს დაბრალდეს ხალხის არდაშლა. მაგას თავისი სხვა ცოდვებიც ეყოფა, ეს რომ არ დავუმატოთ.

**მომიტევეთ, თუ მკრეხელურს ვამბობ რამეს, მაგრამ ილია II კი არა, უფალი რომ ჩამოსულიყო ფეხად, ის ვერ დაგვშლიდა, რადგანაც, ვიმეორებ, ჩემი ღრმა რწმენით, ის რაც მოხდა, გარკვეულწილად ფატალური გარდაუვლობა, ჩვენი ბედისწერა, „ბოროტების იმპერიაში“ ქართველებზე ღმერთის მიერ დაკისრებული მისიის აღსრულება იყო.**

აქედან, ვერც იმ დამაკნინებელ-შეურაცხმყოფელ მოსაზრებას გავიზიარებ, რომ იმპერია ისედაც ინგრეოდა და სულ ტყუილად ავტყდით ქართველები სამგლე გოჭებივით. „თავისით“ არაფერი არც შენდება და არც ინგრევა. რომ არა მერაბ კოსტავას, ზვიად გამსახურდიას თუ სხვა საბჭოელი „შერეკილების“, დისიდენტების „სიგიჟე“, დღესაც, იქ წითელ იმპერიაში ვიქნებოდით. ქართველებს ხშირად გვიყვარს ჩვენს ღვთივგამორჩეულობაზე ლაპარაკი და ვერ გამიგია, რატომ ვაზიაზრუებთ ამ რჩეულობის ნიშანს, რასაც 1989 წლის 9 აპრილი ჰქვია.

დიახ, 9 აპრილის მისტიური განთიადი ის ბოლო ლურსმანი იყო, რომელიც ქართველებმა ჩავაჭედეთ კომუნისტური იმპერიის კუბოში. სწორედ ჩვენი, ქართველების დაღვრილი სისხლი გახდა ის კატალიზატორი, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა იმპერიის და მასში შემავალ ხალხთა ბედი. სწორედ რუსთაველზე დაღვრილი წმინდა სისხლის გამო მიიღეს შედარებით უსისხლოდ თავისუფლება ბალტიისპირელებმა, სხვებმა კი, ვინც არც ფიქრობდა ამაზე — საერთოდ უსისხლოდ.

**ყოველივე ზემოთ თქმულს კარგად აცნობიერებდა ზვიად გამსახურდია, რომელმაც სწორედ 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რითაც პატივი მიაგო დაღუპულთა სულებს. და ეს ტრაგედიის, გლოვის დღე სწორედ ამ დღიდან უნდა გადაქცეულიყო საყოველთაო ზეიმის, დღესასწაულის დღედ, მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა, შემდეგ 9 აპრილს ველარ მოესწრო, როგორც საქართველოს პრეზიდენტი — თორემ 9 აპრილი ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდებოდა როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულად უდღეური მენშევიკების მიერ იძულებით გამოცხადებული 26 მაისის ნაცვლად.** ახლა კი სანამ დღევანდელ 9 აპრილზე და მის პარალელებზე ვისაუბრებდეთ, მავანნი, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ რომ ავლებენ, ერთი პოეტის სიტყვებს მოვუხმობ:

### „ძლივს, ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის, ტყვია მიზანში მოსახვედრია, თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“

დიახ, ზემოთ თქმულის მიუხედავად, სამწუხაროდ, ქართველები ჯერ კიდევ იქ, 1989 წლის 9 აპრილში ვართ, რადგან მაშინ მოპოვებული თავისუფლება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. უფრო მეტიც, დღევანდელ 9 აპრილს ქართველი ერი არ არის მარტო საკუთარი ხელისუფლების მიერ თავისუფლებაწართმეული, არამედ ტერიტორიებდაკარგული, ღირსებააყრილი ხვდება. და ყველაფერ ამას დავიბრუნებთ, თუ დღეს მისი უდიდებულესობა ქართველი ერი გამოვა (და არა ხალხი, ბრბოძ, გამოვა და იდგება მშვიდობიანი, მდუმარე მრისხანებით იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება.

**დღეს, იმ აპრილისგან განსხვავებით, მხოლოდ ჩვენ, ქართველები გავიმარჯვებთ, ან...**

**თუმცა არავითარი ან, რადგან სხვა შემთხვევა, სხვა ვარიანტი უბრალოდ არ არსებობს, რადგან საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი, მარადიული მცნებაა. უწინარესად საკუთარ თავს უნდა დავუმტკიცოთ, რომ ლომთა ჯიშ-ჯილაგისანი ვართ და არა გასაპარსი ცხვრებისა.**

სულ ცოტა ხნის წინათ ერთმა პირმოკუმულმა რაინდმა იმხელაზე დააღო პირი, რომ თავადაც გაუკვირდა და, სულს ამოგხდითო, დაგვემუქრა!

ჰოდა, ახლა მე გაფრთხილებთ, მე და ქართველი ერი, თქვე ულმერთოებო, ეშმაკი არ გაგიწყრეთ და ხელი გლახად არაფერზე წაგცდეთ, თორემ ქართველთა მშვიდობიანი მრისხანება ისეთ რისხვად იქცევა, ვერას გიშველით ზარბაზნები და ტანკები.

**დაბოლოს, წერილის პერიფრაზირებულ სათაურს დავასრულებ — დღეს რუსთაველზე, სისხლისფერი ტიტების ცეცხლი, არა დაღვრილის, დასაღვრელის ალბათ მაცნეა?**

**თუ აქ დასმული კითხვის ნიშანი ხელისუფლების ძალისხმევით ძახილის ნიშნად შეიცვალა, მაშინ რა გაეწყობა. თუ თავისუფლება ლომთა ხვედრია, ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, მაგრამ მაინც უკეთესის, ღმერთის იმედი მაქვს. ღმერთის და ჩვენი უწმინდესის და უნეტარესის ილია II ლოცვისა! ამინ!!!**

**დავით მხეიძე**



დავითის დიდგორიდან მიშას გორამდე

## პოზიცია

# აქა ვდგავართ და...

**1956 წლის 9 მარტი... საოცარია ბედისწერა, განგების ნება...**

**ჯერ კიდევ ხუთ მარტს, სტალინის გარდაცვალების დღეს, თბილისში, მისივე სახელობის სანაპიროზე, ზღვად მოჯარულ ყველა თაობის ადამიანებს ჩვენც, რუსთაველი ჭაბუკებიც შევუერთდით.**

დღევანდელი გადასახედიდან ეს მართლაც საოცრად მეჩვენება. საბჭოთა იმპერიას, ატომით, წყალბადის ბომბებით, ტანკებითა და ათასი უბედურებით კბილებამდე შეიარაღებული პლანეტის შიშის ზარს რომ სცემდა, პატარა საქართველოს გულანთებულმა შვილებმა შებედეს...

ეს მართლა უპრეცედენტო შემთხვევა იყო.

მერე ცხრაში თუ რითი დამთავრდა, ეს ყველამ იცის.

მე და ჩემი მეგობრები კავშირგაბმულობის სახლთან სიკვდილს სასწაულით გადავურჩით.

მე მიმაჩნია, რომ ქართველობამ მაშინ გაიმარჯვა.

მერე 9 აპრილი. რუსთაველები ისევ ისე, უფრო შემართულნი, ბოლომდე ვიდექით მშობელ ხალხთან.

ერმა მაშინაც პირველმა შებედა რუსეთის იმპერიას და გავიმარჯვეთ!

ვარდების რევოლუციაც ჩვენთვის გამოცდა იყო. რუსთაველებმა ტრადიცია არ დავარღვიეთ. ისევ და ისევ ერთად ვიდექით სამშობლოს სადარაჯოზე, ასე გვეგონა... სიმართლე უნდა ითქვას, ზოგი ჩემი მეგობარი შეიარაღებულიც კი ყოფილა. ამაში გვიან გამოტყდნენ.



უფალმა არ ინება, ძმას ძმის სისხლი დაეღვარა.

იყო თუ არა ეს გამარჯვება, ამას ისტორია განსჯის. მთავარი ისაა, რომ ჩვენ მაშინაც სამშობლოს გადასარჩენად ვიდექით და ამინდის უჟმურობასაც არ შევეპუეთ.

და კვლავ აპრილი, ისევ და ისევ 9!

რას მოგვიტანს ეს რიცხვი, რომელიც გაზაფხულის სუნთქვას მოყვა? გაზაფხული ხომ სიცოცხლის ხელახლა დაბადების სიმბოლოა.

მთელ საქართველოსთან ერთად რუსთაველებიც იმედით შევყურებთ სამშობლოს მომავალს. კი, დღეს ჩვენი ქვეყანა ისეთი არ არის, როგორიც ადრე იყო, ეკონომიკურად წელში გატეხილია, ორი მილიონამდე კაცი უცხოეთშია გადახვეწილი, ჩვენ ხომ სულ რაღაც სამ მილიონ ნახევარი ვიყავით, შეურაცხყოფილნი, თითქოსდა დაბეჩავებულნი, მაგრამ სულით გაუტეხელნი, კვლავ დიდი გენის გადასარჩენად მებრძოლნი ერთად ვდგავართ.

ღმერთმა ნუ ქნას, ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის ბედი უკულმა წარიმართოს.

ჩვენ უფლის მადლი და რწმენა გადაგვარჩენს.

ამ რწმენით ვდგავართ და მჯერა, ამჯერადაც გავიმარჯვებთ.

**გივი ჯახუა**

**აქტუალური ინტერვიუ**



# თუ მოვლენები არაკონსტიტუციური სცენარით განვითარდება, ამით ყველაზე მეტად რუსეთი იხეირებს

**გვესაუბრება პოლიტოლოგი არჩილ გეგეშიძე**

**— ბატონო არჩილ, თუ 9 აპრილს ოპოზიციის აქცია მშვიდობიანად, უპროვოკაციოდ ჩატარდა, რა პოლიტიკური შედეგი შეიძლება ჰქონდეს მას ქვეყნისთვის?**

— ქვეყნისთვის მშვიდობიანი სცენარი იქნება კარგი. ქვეყნის ინტერესებისთვის ეს უმთავრესი კრიტერიუმია. თუ რუსთაველზე მრავალათასიანი აქცია მშვიდობიანად დასრულდა, მთელი მსოფლიო დაინახავს, ქართულ საზოგადოებაში რა დონით არის აკუმულირებული საპროტესტო განწყობილებები და მუხტი. შესაძლოა, ეს შემდგომ დასავლეთის მხრიდან საქართველოს მიმართ განხორციელებულ პოლიტიკაში გარკვეული კორექტივების შეტანის საფუძველიც გახდეს.

დღეს დასავლეთს საქართველოში არსებული სტაბილურობის ხარისხის, როგორც მინიმუმ, შენარჩუნება და განმტკიცება მიაჩნია აუცილებლად. დასავლეთი დარწმუნებული არაა, რომ ეს საპროტესტო აქციები სტაბილურობის დარღვევას არ გამოიწვევს. ის მიიჩნევს, რომ ქართული საზოგადოების მოთხოვნა ვადამდელი არჩევნების თაობაზე ამ ეტაპზე არასწორია. თუნდაც ამიტომ საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია გარე საფრთხე რუსული აგრესიის სახით. ამიტომ დასავლეთი მხარს არ უჭერს საქართველოში ვადამდელ არჩევნებს. სანამ ხალხი ქუჩებში არ გამოჩნდება, დასავლეთი არ თვლის, რომ ეს საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნაა. თუ ხალხი აქციაზე მრავლად მივა, იგივე დასავლეთი თავის შეხედულებას გადახედავს. ხალხის სიმრავლე საკმარისი პირობა არ იქნება ხელისუფლების შესაცვლელად, მაგრამ დასავლეთისთვის შესაძლოა გახდეს საკმარისი პირობა, რომ მან უფრო რეალისტურად შეაფასოს ქვეყანაში ხელისუფლების მიმართ არსებული განწყობილებები.

**— ხალხზე აპელირებს როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია. ვთქვათ, ხალხმა აქციის პერმანენტული ხასიათის მიღების შემთხვევაშიც მაღალი პოლიტიკური კულტურა გამოიჩინა, ასეთ ვითარებაში პოლიტიკური პროცესების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ?**

— თუ საპროტესტო ელექტორატმა თავისი პროტესტი არა მარტო 9 აპრილისთვის დაგეგმილ აქციაზე გამოხატა, არამედ აქციებმა მოტივირებულად პერმანენტული ხასიათი მიიღო არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებში, ეს დასავლეთისთვის უფრო მეტი ნიშანი იქნება იმისათვის, რომ ხელისუფლების ლეგიტიმაციის დაბალი ხარისხი დააფიქსიროს. პერმანენტული აქციები თვითონ ხელისუფლებისთვის შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი პირობა, რათა რადიკალურ რეფორმებზე წავიდეს.

არ ვგულისხმობ მაინცდამაინც პრეზიდენტის გადადგომას, მაგრამ აქციების დიდი მასშტაბის შემთხვევაში ხელისუფლება ძალაუფლების უპრეცედენტო განაწილებაზე შეიძლება წავიდეს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს დემოკრატიული ინსტიტუტების მყისიერი გაძლიერება. ამ შემთხვევაში საუბარი იმაზე კი არ იქნება, დავიწყოთ საუბარი და დიალოგში განვსაზღვროთ, როგორი იქნება საარჩევნო კოდექსი და კონსტიტუცია და ა.შ., ხალხის პერმანენტულად გამოსვლის შემთხვევაში ქვეყანაში შეუქცევადად და მყისიერად დაიწყება დემოკრატიზაციის პროცესი.

მოვლენათა განვითარების ორივე სცენარი საქართველოსთვის კარგი აღმოჩნდება. ორივე სცენარი ქვეყნისთვის კარგია თუნდაც იმის გამო, რომ მშვიდობიანია. მაგრამ მეორე სცენარი, პირველს იმით სჯობს, რომ მაღალი ალბათობით მოსალოდნელია სიტუაციის გარკვეულწილად განმუხტვა, რომელიც მოლაპარაკებებს დაეფუძნება. ასეთ ვითარებაში, ჯერ ერთი, განიმუხტება პოლიტიკური კრიზისი და მეორეც, ეს აჩვენებს მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოში საკმარისად არის მომწიფებული პოლიტიკური კულტურა, დემოკრატია და შესაძლებელი გახდა რთული პოლიტიკური ვითარების დაძლევა.

**— ვითარებაში, როცა აქციაზე პასუხიმგებლობას ხელისუფლება ოპოზიციას აკისრებს, ხოლო, თავის მხრივ, ოპოზიცია ხელისუფლებას, გამორიცხული მართლაც არაფერია. ქვეყნისთვის რა საშიშროებას შეიცავს პროცესების შეხლა-შემოხლითა და არეულობით განვითარება?**

— მოვლენების ამ სცენარით განვითარება ბევრ საშიშროებას შეიცავს. ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მსხვერპლი, ეს ყველაზე ცუდი რამ იქნება და პრაქტიკულად დიდი ხნით გათიშავს ქართულ საზოგადოებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ასევე რევოლუციური პროცესები, რაც კიდევ უფრო დიდი ნგრევითა და ზარალით დამთავრდება.

გარდა ამისა, საქართველოზე, როგორც ზრუნვის ობიექტზე, საბოლოოდ ჩაიქნევს ხელს დასავლეთი. ამით ისარგებლებს რუსეთი და განახორციელებს საქართველოს დესუვერენიზაციის პროექტს. საქართველოს დესუვერენიზაცია ან ქვეყნის დაქუცმაცებით ან საკუთარი მარიონეტული რეჟიმის მოყვანითა და ქვეყნის თავის კონტროლქვეშ მოქცევით დასრულდება. ეს არის ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოჰყვეს 9 აპრილს მოვლენების არასასურველი სცენარით განვითარებას.

**— პრაქტიკულად ჩიხურ ვითარებაში ვიმყოფებით და, თქვენი პროგნოზით, მაინც რომელი სცენარით დასრულდება ოპოზიციის მიერ დაგეგმილი აქციები?**

— ვითარება 9 აპრილამდე ჩიხურია. 9 აპრილამდე არ უნდა ველოდოთ მხარეების დაახლოებას და დიალოგის დაწყებას. 9 აპრილს მოხდება გარკვეული დაპირისპირება, მე არ ვგულისხმობ მაინცდამაინც ძალადობრივ დაპირისპირებას. აქციები, დიდი ალბათობით, შემდეგ დღეებშიც გაგრძელდება. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, რა რაოდენობის, მუხტისა და მოტივაციის ხალხი გამოვა ქუჩაში. რა კომენტარები მოჰყვება მომხდარს საქართველოში და როგორ გაშუქდება ეს მოვლენები მსოფლიო მედიაში. არ გამოვრიცხავ გარკვეულ შუამავლობას აშშ-ს ან საპატრიარქოს მონაწილეობით. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ დიალოგის გამართვის ორ სხვადასხვა ვარიანტზე.

თუკი მართლაც დიდი საპროტესტო მუხტი იქნა და დასავლეთი მიხვდა და, შესაბამისად, მანაც ზეგავლენა მოახდინა ხელისუფლებაზე, მაშინ შეიძლება მართლაც იყოს საუბარი პრეზიდენტის გადადგომაზე, მაგრამ არა უპირობოდ. უპირობოდ არავინ გადადგება, საუბარი იქნება იმაზე, რა გარანტიები უნდა მიეცეს არა მარტო პრეზიდენტს, არამედ მის გარემოცვასაც.

მეორე თემა შეიძლება იყოს არა გადადგომა, არამედ ძალაუფლების განაწილება, ანუ პრეზიდენტი რჩება, იშორებს თავის გარემოცვას, ზოგს მადლობასეუბნება, ზოგს ბოდიშს უხდის, ზოგსაც პასუხისმგებლობაში აძლევს და სთავაზობს ოპოზიციას რეალურ ბერკეტებს ხელისუფლებაში.

პარალელურად ხელისუფლება მყისიერად იწყებს დემოკრატიის გაძლიერებას. მიდის მომენტალური ლიბერალიზაცია, ამას არ სჭირდება დიდი მოლაპარაკებები და კანონმდებლობაში ცვლილებები. ძალიან მოკლე დროში უნდა დამთავრდეს კონსტიტუციაში სათანადო ცვლილებების შეტანა, რათა აღდგეს 2004 წელს ხელისუფლების შტოებს შორის დარღვეული ბალანსი. ასევე ძალიან მოკლე დროში უნდა შეთანხმდნენ ახალ საარჩევნო კოდექსსა და მომავალში ჩასატარებელი არჩევნების ვადებზე. სავარაუდოდ, პრეზიდენტის არჩევნები 2013 წელს კი არა, უფრო ადრე დაინიშნება. ასევე, უფრო ადრე დაინიშნება საპარლამენტო არჩევნებიც. პრეზიდენტის დარჩენის შემთხვევაში ამ თემებზე კომპრომისის მიღწევა შესაძლებელი იქნება.

**— დღეს აქტუალურია ხელისუფლების მიერ ძალის გამოყენება-არგამოყენების თემა. თქვენი აზრით, გამოიყენებს თუ არა ხელისუფლება ძალას აქციის მონაწილეების წინააღმდეგ?**

— ძალის გამოყენების ალბათობა არის, სხვა საკითხია, მაღალია იგი თუ დაბალი. ინგოროყვას ქუჩაზე, როგორც ყოველთვის, აუცილებლად იდგება ყვითელი ავტობუსები სპეცდანიშნულების რაზმებით. ეს იმ შემთხვევისთვის, თუკი ჩაითვლება, რომ ვიღაც მიდის სახელმწიფო გადატრიალებაზე. გამორიცხულია, რომ ის ვიღაც ოპოზიციის მხარდაჭერით მოქმედებდეს, მაგრამ ეს შეიძლება იყოს პროვოკაცია. არ გამოვრიცხავ ამგვარი პროვოკაციის ქვეყნის გარედან ინსპირირებას. იმ ქვეყნიდან ინსპირირებას, რომელსაც ყველაზე მეტად აძლევს ხელს თბილისში მოვლენების ცუდი სცენარით განვითარება. დღევანდელ მსოფლიოში, რუსეთის გარდა, საქართველოში მოვლენების ტრაგიკული სცენარით განვითარება არავის სჭირდება.

უმართავი პროცესების წყარო შეიძლება იყოს ხელისუფლება, თუკი მას ნერვებმა ისევე უმტყუნა, როგორც 2007 წლის 7 ნოემბერს, რაც ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური სიბეცის გამოვლინება იყო.



**კობა ბენდელიანი.**
**„ინტერპრესნიუსი“**

**სისტემა**

# ყველას მინუს ერთი და საზოგადოება უკეთესი არჩევანის გარეშე

**სისტემური კრიზისების შედეგად საქართველოში რევოლუციების ოცწლიანი ციკლი გრძელდება. ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებისა და ედუარდ შევარდნაძის „მოქალაქეთა კავშირის“ შემდეგ მიხეილ სააკაშვილის რიგია.**

ხელისუფლების და ოპოზიციის წარმომადგენლებმა ერთმანეთთან დიალოგის რესურსი ამოწურეს და ულტიმატუმის ტონზე გადავიდნენ. მხარეები დათმობას არ აპირებენ.

9 აპრილიდან ქვეყანაში გაფიცვები დაიწყო. ოპოზიციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მმართველობიდან მიხეილ სააკაშვილის წასვლამდე აქციები არ დაიშლება — ყველა ერთის გარეშე. პრეზიდენტს თავისი გუნდის და დღევანდელი სისტემის თანაავტორები, მართვადი ოპოზიციის, ასევე, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლები უპირისპირდებიან და ყველა დაკარგული სტატუსის დასაბრუნებლად იბრძვის. თავის მიზანზე ყველა, გარდა მართვადი ოპოზიციისა, უქვეტექსტოდ საუბრობს.

ნინო ბურჯანაძეს, ზურაბ ნოღაიდელს და ირაკლი ალასანიას, ანუ ძალაუფლებას ნაჩვევ ფიგურებს, ხელისუფლებაში დაბრუნება უნდათ. „ახალ მემარჯვენეებს“ და „რესპუბლიკელებს“ ეგრეთ წოდებული ოპოზიციური ნიშიც დააკმაყოფილებთ. რაც შეეხება მათ მიერ შექმნილ სისტემას, რომელმაც ქვეყანაში ოცწლიანი კრიზისი შექმნა, სწორედაც ბურჯანაძეს, ნოღაიდელს და ალასანიას აძლევს ხელს. სწორედ ამ სისტემამ შეუნარჩუნა მათ ძალაუფლების და კეთილდღეობის გარანტიები. სწორედ ამ სისტემის მიზეზით არ შეიქმნა პროფესიონალური გაერთიანება, რომელიც რევოლუციურ ტალღაზე მოსულ ფიგურებს თუნდაც 20 წლის შემდეგ ჩაანაცვლებდა. სწორედ ამ მიზეზით, ხელისუფლებას ერთგულების ნიშნით დაწინაურებული არაპროფესიონალები მართავენ, რომლებსაც საკუთარ სამუშაო ადგილებზე ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების ელემენტარული უნარიც არა აქვთ, რაც, საერთო ჯამში, მართვის პარალიზებას და კრიზისს იწვევს.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საზოგადოებამ მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ჟვანიას და ნინო ბურჯანაძის ხელისუფლების კონტროლი ვერ შეძლო, რადგან ქვეყანაში არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ადამიანებს ამის შესაძლებლობას მისცემს. ერთადერთი საშუალება, რაც მოსახლეობას ნების გამოხატვის კონსტიტუციურ უფლებას აძლევს, არჩევნებია, რომელიც ხშირ შემთხვევაში, დარღვევით და სუბიექტური საინფორმაციო კამპანიის ფონზე იმართება.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სწორედ ასეთი არჩევნების ლეგიტიმურობა საქართველოს მოსახლეობის და პოლიტიკური გაერთიანებების დიდმა ნაწილმაც სცნო და დასავლურ-ამერიკულმა საზოგადოებამაც. პრეზიდენტის მხარდაჭერაზე პარტნიორ სახელმწიფოებს უარი არც იმის გამო უთქვამთ, რომ ქვეყანაში მმართველობის სტილი და სისტემა არ შეცვლილა — მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ქვეყნის სათავეში ამ დავალებით არ მოსულა. ამ დავალების შემსრულებელთა სიაში მაშინ ნინო ბურჯანაძეც იყო, ზურაბ ნოღაიდელიც და ირაკლი ალასანიაც. მაშინ მათ ეს დაკვეთა არ გაუპროტესტებიათ. ისინი მხოლოდ სისტემის შედეგს აპროტესტებენ, რადგან ხელისუფლებაში დასაბრუნებლად მომგებიანი და აპრობირებული ილეთია.

ამ სისტემის შედეგად ბევრი დანაშაული მოხდა. სისტემის თანაავტორები პასუხისმგებლობას ინაწილებენ. თუმცა, მხოლოდ სიტყვიერად და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის გარეშე დასაბრუნებლად იბრძვიან. შეცვლიან თუ არა ისინი სისტემას, რომლის შვილებიც არიან, ეს არც მათზეა დამოკიდებული და არც იმ ხალხზე, რომელთა რიცხვიც 9 აპრილის აქციაზე 150 000-ს, ალბათ, მართლა გადააჭარბებს.

საზოგადოების წარმომადგენლების ფიგურები, ტონი, ლოზუნგები, დაპირებები, აღიარებითი ჩვენებები და შეკრების ადგილიც კი, 20 წელია არ იცვლება.

აქცია — ცვლილება ცვლილებისთვის — უკვე მერამდენედ, 2009 წლის 9 აპრილს, დაიწყება.

**ეკა ალიბეგაშვილი.**
**ჯი-ეიჩ-ენი**

**კერძო აზრი**

*„...ქართველნი ...სალაშქროთა შინა ახოვანნი, საჴურველმოყვარენი, ამაყნი, ლაღნი,სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა“*

*ვახუშტი*

# „...არა რიდებენ და მეფესა

## რა გვასწავლა და რა ვერა 1989 წლის

**ოცი წლის წინათ, 1989 წლის 9 აპრილს ერის სულიერმა წინამძღოლმა მოუწოდა მომიტინგეებს, გადასულიყვნენ ქაშუეთის ეკლესიაში და იქ ელოცათ, რათა ერს თავიდან აეცდინა მოვლენების ტრაგიკული განვითარება. მიტინგის ლიდერებმა ეს არ დაუშვეს. გამხეცებული რუსი ჯარისკაცების რისხვას პოლიტიკისაგან შორს მდგომი ადამიანები — ქალები და ქალიშვილები შეეწირნენ. ეროვნული მოძრაობის ლიდერების ურთიერთდაპირისპირება კი სულ მალე გამოაშკარავდა, სწორედ ამან გამოიწვია სამოქალაქო დაპირისპირება, თბილისის ომი, შემდგომი ტრაგიკული მოვლენები საქართველოში.**

თავის წიგნში „ჟამი ჭეშმარიტი (დამარცხებული მოძრაობის ქრონიკაძ“ გიორგი წიქარიშვილი დეტალურად აღწერს 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ გამართულ საქართველოს სახალხო ფრონტის სრულიად მარაზმულ ყრილობას, რომელიც **„...რასაკვირველია, აყალმაყალში, გნიასში, დედის გინებასა და გაწევ-გამოწევაში გადაიზარდა.“** ავტორი აღნიშნავს: **„მთელს ამ მარაზმს ზიზღნარევი, დამცინავი ღიმილით აკვირდებოდნენ ბალტიისპირელი სტუმრები, რომლებიც ჩუმად სტოვებდნენ კიდეც ყრილობას. საქართველოს ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ერთ-ერთი მათგანი გულწრფელად იტყვის: ეჭვი მეპარება, რომ იმ ადამიანთა უმრავლესობას, ვინც ყრილობაზეა წარმოდგენილი, შესწევს ინტელექტუალური უნარი პოლიტიკური მოღვაწეობისა.**

**ამ დროს გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ლიტვის „სახალხო ფრონტის“ ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს: „ხშირად გვისაყვედურებენ, თითქოს „სოიუდისი“ (ლიტვის სახალხო ფრონტი) ნაციონალისტური ორგანიზაციაა. ჩვენ ამას არ ვეთანხმებით. უბრალოდ გვინდა ლენინური პრინციპების გატარება რესპუბლიკათშორის ურთიერთობებში და ამ გზით ჩვენი კავშირის (საბჭოთა კავშირის! — გ. წ.) განმტკიცება, მისი დემოკრატიზაცია — ლენინური მოძღვრების ფუძემდებლური დებულებები უეჭველად მოითხოვენ რესპუბლიკათა სუვერენიტეტის გაზრდას და მისი რეალური შინაარსით შევსებას“.**

**ერთი სიტყვით „თავისმომჭრელი“ სტატია იყო.**

**ხომ წარმოგიდგენიათ, საქართველოს სახალხო ფრონტის რომელიმე ლიდერს მსგავსი რომ ეთქვა, რა ამბავი ატყდებოდა? ამის წარმოდგენაც კი მზარავს!**

**იმ ინტერვიუს რესპონდენტი კი შემდგომში ლიტვის სეიმის დეპუტატი გახდა და ნატოში გაწევრებისთვის აუცილებელი იურიდიული ბაზის მოსამზადებელი ჯგუფის კოორდინატორად დაინიშნა“.**

დღეს ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოს სრულუფლებიანი წევრები არიან. საღად მოაზროვნე ადამიანისათვის კი ცხადი უნდა იყოს ის პირდაპირი კავშირი, რომელიც არსებობს ერთი მხრივ, „სოიუდისის“ „სურვილისა“ — „გაეტარებინა ლენინური პრინციპები“ და „განემტკიცებინა“ საბჭოთა კავშირი და, მეორე მხრივ, ლიტვის და მთლიანად ბალტიისპირეთის ქვეყნების სწრაფ და წარმატებულ ევროინტეგრაციას შორის, ნატოში გაწევრების ჩათვლით. ისიც ცხადია, რომ საქართველოში არც ერთ პოლიტიკურ ლიდერს თავშიაც არ მოუვიდოდა აზრად მსგავსი რამის თქმა. მართლაც შემზარავია იმის წარმოდგენაც კი, თუ რა ატყდებოდა, ვინმეს მაინც რომ გამოეხატა „ლენინური პრინციპების“ დაცვის სურვილი ქვეყანაში, სადაც რევაზ თაბუკაშვილის ფრაზას: „პატრიოტიზმი არ არის პროფესია! დღეს სწორედ პროფესიონალიზმია ნამდვილი პატრიოტობა“, დარბაზი სტვენითა და ფეხების ბრაგუნით შეხვდა.

მაინც რამ განაპირობა ასეთი სხვაობა ჩვენსა და ბალტიისპირეთს შორის? ჩვენ შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ ბალტიელი ლიდერების კულტურაზე, შეხედულებებზე და ინტელექტუალურ უნარზე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ იქაურმა ლიდერებმა კარგად იცოდნენ, რომ თუ რომელიმე მათგანი გადაუხვევდა არჩეულ და ცხადია, ერთმანეთში შეთანხმებულ კურსს და უფრო რადიკალურ მოწოდებებზე გადავიდოდა, საზოგადოება და მთლიანად ხალხი ამას არ მოიწონებდა, ამას ეროვნული საქმის ღალატადაც კი ჩაუთვლიდნენ და მეტი პოპულარობის მოხვეჭის ნაცვლად ის გაირიყებოდა აქტიური პოლიტიკური პროცესიდან. ეს გარემოება რომ არა, იქაც მოიძებნებოდნენ რადიკალები და ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციას უფრო და უფრო რადიკალური ლოზუნგების დამანგრეველი შეჯიბრი შეცვლიდა. ისტორია ცხადყოფს, რომ რადიკალიზმისა და ექსტრემიზმისგან (გავიხსენოთ თუნდაც ნაციზმი და ფაშიზმიძ არც ერთი, მათ შორის ყოველმხრივ განვითარებული საზოგადოება, არ არის დაზღვეული (შეხსენება განსჯისთვის: სწორედ საქართველოს სახალხო ფრონტის იმ მარაზმულ ყრილობაზე წარმოთქვა მერაბ მამარდაშვილმა ცნობილი სიტყვები: **„ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“.**

### იმ ამბების შემდეგ ოცი წელიწადი გავიდა და უპრიანია ჩვენ თავს ვკითხოთ: რითი ვხვდებით 1989 წლის 9 აპრილის მე-20 წლისთავს?

იმით, რომ თოვლის გუნდასავით დნება 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სულ რამდენიმე წელიწადში მიღწეული სახელმწიფოს აღმაშენებლობისათვის უდავოდ მნიშვნელოვანი შედეგები.

დღეს ბევრს აღიზიანებს „ვარდების რევოლუციის“ რაიმე დადებითი შედეგების ხსენებაც კი. ასეთ ადამიანებს შორის ისეთებიც არიან, ვინც მაშინ დაუღალავად სკანდირებდა ქუჩაში: „მიშა! მიშა! მიშა!“ და ვისაც გულწრფელად სწამდა, რომ „აწი ახალგაზრდები მიხედავენ საქმეს და ყველაფერი კარგად იქნება“. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პირველ წლებში მიღწეული შედეგები მართლაც მნიშვნელოვანი და საქართველოსათვის ჭეშ-



მარიტად ისტორიული იყო. თუმცა ამ შედეგების მიღწევისას ასევე მნიშვნელოვანი, მათ შორის მარტივი და უხეში შეცდომაც ბევრი იქნა დაშვებული და, რაც მთავარია, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, პირველივე დღეებიდან, გამოიკვეთა ის სახიფათო ტენდენციები, რომლებიც დროთა განმავლობაში უფრო ღრმავდებოდა და დაწყებული საქმის ტრაგიკულ დასასრულსაც მოასწავებდა. „ვარდების რევოლუციიდან“ ერთი წლის თავზე, ერთ-ერთი ქართველი პოლიტოლოგი აღნიშნავდა მოკლე ხანში მიღწეულ მრავალ დადებით ძვრას და შედეგს და იქვე დასძენდა, რომ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს და დამტკიცებასაც არ საჭიროებს ის ფაქტი, რომ **„ესენი ხელისუფლებიდან უსისხლოდ არ წავლენ“.**

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ცნობილი ექსპერტები ღიად ამბობენ იმას, რაც ჩვენი საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილმა კარგა ხანია იცის: საქართველოს მართავს კორუმპირებული ავტორიტარული რეჟიმი, ხოლო ამ რეჟიმის სათავეში მდგომი სააკაშვილი აშკარად არაადეკვატურია. მის მოქმედებას სულ უფრო მეტი ხიფათი და ზიანი მოაქვს ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოსთვის. მოკლე წერილში ვერ ჩამოვთვლით ამ თეზისის დამადასტურებელ ყველა ფაქტს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ **სწორედ ის საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები, ვინც უმაღლეს შეფასებებს აძლევდნენ საქართველოს მიღწევებს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ წლებში, დღეს აფიქსირებენ საქართველოში თავისუფლებისა და დემოკრატიის ინდექსის უპრეცედენტო დაცემას (ბოლო წელიწადნახევარში ასეთი დაცემა არც ერთ სახელმწიფოს არ განუცდია), საქართველო გარიცხულია არჩევითი დემოკრატიების რიცხვიდან (2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო და მაისის საპარლამენტო არჩევნების შეფასების შედეგად), „სამაგიეროდ“ შეყვანილია კორუმპირებული ქვეყნების შავ სიაში. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საქართველოს მართავს არა კანონი, არამედ კანონზე მაღლა დამდგარი რამდენიმე ადამიანი პრეზიდენტის ხელმძღვანელობით.** ხოლო ნაციონალური მოძრაობა მთლიანად შერწყმულია სახელმწიფოს აპარატთან (სსრკ-ში კომუნისტური პარტიის მსგავსადძ.

რეჟიმის ავტორიტარულობა და ელიტარული კორუფცია მკვეთრად უარყოფითად აისახა ეკონომიკაზე.

საქართველოს ეკონომიკა არ არის ინტეგრირებული გლობალურ ეკონომიკაში. დასავლეთის დიდი ფინანსური დახმარება ენერგომშემცველებზე ფასების კლებასთან ერთად კარგ პირობას გვიქმნიდა ეკონომიკის გადასარჩენად. 2007 წლის ნოემბრის დარბევამ, 2008 წლის აგვისტოს კატასტროფამ და რეჟიმის შემდგომმა მოქმედებამ — ბიუჯეტის გამოყენებამ ძალაუფლების შენარჩუნებისთვის, ინვესტორების შერჩევამ პირადი ერთგულების ნიშნით, ბიზნესმენებისთვის ფულის შეწერამ — შეუდარებლად უფრო დიდი ზიანი მიაყენა და დღესაც აყენებს საქართველოს ეკონომიკას, ვიდრე საერთაშორისო ეკონომიკურმა კრიზისმა.

„ვარდების რევოლუციის“ დადებითი შედეგების დნობა მიმდინარეობს მაშინ, როდესაც აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთი ოკუპირებულია რუსეთის ჯარების მიერ. საქართველოში ბრუნდება რუსეთის მძლავრი სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ბაზები. რუსეთის სამხედრო ტექნიკა და შეიარაღებული ძალები სულ 20-25 კმ-ით არის დაშორებული საქართველოს რკინიგზისა და უმნიშვნელოვანესი ენერგეტიკული არტერიებისგან და ცნობილი დასავლელი ექსპერტების აზრით, არ არსებობს მსოფლიოში არავითარი ძალა, რომელიც შეაკავებს მათ, თუ რაიმე მიზეზით ან საბაბით მოინდომებენ შემდგომ გადაადგილებას. ცხადია, საქართველოს ხელისუფლების შეცდომები ვერ გაამართლებს რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულებას საქართველოსადმი ბოლო ოცი წლის განმავლობაში, მით უფრო იმას, რაც რუსეთის ხელისუფლებამ მოიმოქმედა 2008 წლის აგვისტოში და რასაც დღესაც აკეთებს. მაგრამ რეალიზმი გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ ამ შემთხვევაში ზედმიწევნით სწორია ჩვენი ანდაზა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო, ყველაფერი რაც მოგვივიდა, შედეგია შარშან, აგვისტოში სააკაშვილისა და მისი რეჟიმის მიერ განხორციელებული პოლიტიკური და სამხედრო ავანტიურის გარდაუვალი მარცხისა. სააკაშვილის ავანტიურა კი, თავის მხრივ, ლოგიკური შედეგია იმ სრულიად მცდარი და კონტრპროდუქტიული პოლიტიკისა, რომელსაც ის ახორციელებდა რუსეთის მიმართ და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მოგვარების სფეროში ჯერ კიდევ 2004 წლის ზაფხულიდან.

### კიდევ რითი ვხვდებით 9 აპრილს?

**იმით, რომ ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი ამზადებს მასობრივ საპროტესტო აქციებს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით.** ვითარების სწორი აღქმისა და სწორი დასკვნების გამოტანისთვის საჭიროა გავერკვეთ, თუ რა მოტივაცია აქვთ ამ ადამიანებს, რა ამოძრავებთ მათ, საბოლოოდ რა მიზანს ისახავენ? რას შეიძლება მიაღწიონ მათ ამ აქციებით? არაფერს, გარდა რეჟიმის გარკვეული დროით განმტკიცებისა და ხალხის გარკვეული ნაწილის გაწბილებისა, თუ, რა თქმა უნდა, რეჟიმი გამოიჩენს სიმტკიცეს და მოთმინებას, არ აჰყვება ფსიქოპათოლოგიურ განწყობებს და არ გამოიყენებს ძალას, არ დაარბევს დემონსტრანტებს. ეს შესანიშნავად ესმით აქციების ორგანიზატორებს, შარშან 7 ნოემბერს ორგანიზებული აქციის შედეგებიც ახსოვთ. მაშინ ხალხის პროტესტანტულად განწყობილი ნაწილი გაწბილდა, აქციის მომწყობთა რეიტინგი კიდევ უფრო დაეცა, რეჟიმმა კი შვებით ამოისუნთქა, ირწმუნა საკუთარი ძალა და უფრო თავხედურად დაიწყო მოქმედება. შეიძლება შარშან გაზაფხულზე კარვების გაშლაც და შიმშილობაც გავიხსენოთ (მაშინ ზოგი კარავში შიმშილობდა, ზოგიც პარლამენტის შენობაშიძ. მაშინაც ეყო რეჟიმს მოთმინება, 2007 წლის 7 ნოემბრის გაკვეთილიც კარგად ახსოვდა და მოშიმშილეები სრულ ჩიხში აღმოჩნდნენ. მათი რეიტინგი კატასტროფულად დაეცა და პატრიარქის თხოვნის ორგანიზება გახდა საჭირო, საპატიო მიზეზით შიმშილობის შეწყვეტისთვის. ამიტომაც აქციების ორგანიზატორთა მთელი იმედები, მთელი გეგმები იმაზეა გათვლილი, რომ რეჟიმს უმტყუნებს ნერვები, განმეორდება 2007 ნოემბერი იმ განსხვავებით, რომ ახლა უკვე გადამდგარი სააკაშვილი ველარ იყოს კანქში, ხოლო მი-

კერძო აზრი

# „ქვეყანასა თვისსა“

## 9 აპრილიდან განვლილმა ოცმა წელმა

სი გუნდის არც ერთ წევრს აღარ დარჩება იოტისოდენა შანსი გაიმარჯვოს პრეზიდენტის არჩევნებში. სამაგიეროდ მიტინგზე გამოკვეთილ ლიდერს სრული გარანტია ექნება საერთო-სახალხო მხარდაჭერისა და პრეზიდენტიც ის გახდება. ასე ფიქრობენ მიტინგის ორგანიზატორები და ეს მსჯელობა მთლიანად ემყარება იმ მენტალიტეტს, რომელსაც, როგორც ჩანს, საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს ჩვენში. ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში ერთმა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ თქვა, რომ სასურველის სინამდვილედ წარმოდგენის სწრაფვამ ეროვნული უბედურების მასშტაბი მიიღო ჩვენში (აზროვნების ასეთ სტილს, რეალობისადმი ასეთ დამოკიდებულებას, ინგლისურად მოკლე სახელი აქვს — wishful thinkingძ. მაგალითისათვის: სწორედ ასეთი განწყობით დაიწყო სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურა შარშან აგვისტოში. მათ წარმოდგენაში ყველაფერი იდეალურად ეწყობოდა: ჩვენი არმია მაქსიმუმ საათნახევარში აიღებდა ცხინვალს, ერთ დღეში აიღებდა ჯავას და გადაკეტავდა როკის გვირაბს. რუსეთი, რა თქმა უნდა გამოიყენებდა სამხედრო ძალას, მაგრამ ზუსტად იმ ოდენობით და ინტენსიურობით, რომ საქართველოს არმიას გაემარჯვა მასზე და ეს გამარჯვება სამარადჟამოდ, ოქროს ასოებით ჩაწერილიყო საქართველოს ისტორიაში. მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობა არ დაუშვებდა რუსეთის შემდგომ აგრესიას და სააკაშვილს ისღა დარჩებოდა, რომ დამდგარიყო ცხინვალში სპეციალურად ამისათვის შეტანილ ტრიბუნასთან და მიეღო სრულიად საქართველოსთვის ეს დიდი გამარჯვება (ბევრისთვის ცნობილია, ხოლო ბადრი ბიწაძემ საჯაროდაც განაცხადა, რომ ცხინვალისკენ მიჰქონდათ გასაშლელი სცენა, ორი ტრიბუნა (მეორე ტრიბუნასთან სააკაშვილი სანაკოევის დაყენებას აპირებდაძ და ასობით დროშაძ. გავიხსენოთ ისიც, რომ კოდორის ხეობაში წლების წინათ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ გააკეთა საჯარო განცხადება, რომ „კოდორი იქნება ის პლაცდარმი, საიდანაც საქართველო დაიბრუნებს აფხაზეთს“. 2008 წლის აგვისტოში მოწინააღმდეგის ხელში სრულიად უბრძოლველად ჩავარდნილი სამხედრო ტექნიკის რაოდენობა და ხარისხი ასაბუთებს იმას, რომ ეს განცხადება არ იყო მხოლოდ პიარი, არამედ ესეც ნაწილი იყო ხსენებული wishful thinkings-ა.

ჩვენთვის კი მნიშვნელოვანია არა ოპოზიციის რომელიმე ლიდერის პოლიტიკური ბედი, არამედ ის, თუ რა ელის ჩვენს ერსა და სახელმწიფოს, რომელიც ერის არსებობის ფორმაა და არა განყენებული, თავისთავად ღირებული რამ. სოციოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფს, რომ საქართველოში პოლიტიკური ლიდერები დღესაც ბევრად უფრო ცნობადები არიან, ვიდრე თუნდაც „მათი“ პარტიების სახელწოდებები, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკურ პროგრამებზე. ცხადია, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, შეძლებს თუ არა ჩვენი საზოგადოება, მთლიანად ჩვენი ხალხი იმის გაცნობიერებას, რომ ლიდერის კულტს, ფიურერიზმს, ბოლო უნდა მოეღოს. მოხდა ისე, რომ საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობა იმ დინამიკურ დროში, როდესაც დასავლეთში თვით ეროვნული სახელმწიფოს იდეა და საფუძვლები ეროზიას განიცდის, პოლიტიკა კი ყველაზე განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც სულ უფრო პერსონალიზებული ხდება ტელევიზიის წყალობით. ის ადამიანი კი, რომელსაც უნარი აქვს ტელეეკრანიდან მოხიბლოს მასების გული, ხშირ შემთხვევაში შეიძლება ვერ გამოდგეს, როგორც სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ამას უკვე ებრძვიან არჩევნებისთვის ტელეეთერის მაქსიმალური შეზღუდვით და ა.შ. ძლიერი საშუალო ფენა, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, ტრადიციულად ძლიერი და დამოუკიდებელი მასმედია აბალანსებს დასავლეთში პოლიტიკის მზარდ პერსონალიზაციას. ჩვენ ასეთი ინსტრუმენტები საბჭოთა რეჟიმის 70 წლის შემდეგ, ცხადია, არა გვაქვს. მთავარი ტრაგედია კი ის არის, რომ საქართველო მდებარეობს გეოპოლიტიკურად ურთულეს რეგიონში, რომელსაც ხშირად ევრაზიულ ბალკანეთს უწოდებენ და რომელშიც მცირე სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შენარჩუნება მაშინაც კი არ არის გარანტირებული, როცა მათი მთავრობები უშეცდომოდ მოქმედებენ. ამიტომ არის, რომ ასე ძვირად გვიჯდება ყველა, მათ შორის ზრდისა და განვითარების თანამდევი, „სახადი“ შეცდომები.




9 აპრილის ტრაგედიამ უდიდესი გავლენა მოახდინა ერის ცნობიერებაზე. სწორედ ამ ტრაგედიის შედეგად მთელმა ერმა, საქართველოს პრაქტიკულად ყველა მოქალაქემ, განურჩევლად ასაკისა, ცხოვრებისეული გამოცდილებისა, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, გააცნობიერა და გაითავისა ის აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ალტერნატივა არ გააჩნია. განვლილი 20 წლის განმავლობაში ამ მრწამსს ბევრი და რთული გამოცდის ჩაბარება მოუწია. ბევრჯერ გავწბილდით, ბევრ დაბრკოლებას წავაწყდით დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს ალმშენებლობის გზაზე. მთავარი პრობლემა კი ჩვენი ხალხის და უპირველეს ყოვლისა ჩვენი ელიტის სასტარტო ეტაპზე დამოუკიდებლობისათვის სრული მოუმზადებლობა და მასთან შეუთავსებლობაც კი იყო. საქმე ის არის, რომ მრავალი ობიექტური ფაქტორის გამო, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენ „კარგად“ მოვერგეთ მანკიერ სოციალისტურ სისტემას და „წარმატებულად ვპარაზიტობდით“ ამ სისტემაზე მორგებულნი. ეკონომიკურად ყველაზე შეძლებულები ვიყავით სსრკ-ის კომუნისტურ იმპერიაში და ქართველი მწერლები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ადამიანი, რომელიც ესტუმრებოდა იმპერიის დიდ ქალაქებში ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროებსა და რესტორნებს, უდავოდ იმ დასკვნას გამოიტანდა, რომ ქართველები ყველაზე ხალხმრავალი ერი იყო იმ ვეებერთელა ქვეყანაში (სხვათა შორის ამ რამდენიმე წლის წინათ რუსეთში ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა, რომელმაც დაადგინა, რომ რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობას ჰგონია, რომ ქართველები 50-მილიონიანი ერი ვართძ.

ამავდროულად ეროვნული ენერგია უაზროდ იღვრებოდა, კორუფცია კი ღრღნიდა და რყვნიდა ადამიანთა საქმიანობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. **„ყოველ საზოგადოებასა და ყოველ დროში არსებობენ პატრიოტები, მაგრამ მათმა აქტივობამ შეიძლება მხოლოდ დამატებითი სტიმული შესძინოს ნაციონალურ ერთიანობას. ქართული ნაციონალიზმის ძირითადი ნაკლი იქიდან მომდინარეობს, რომ დღემდე ვერ მოხერხდა პიროვნებისა და სახელმწიფოს ისეთი ურთიერთმორგება, რომლის დროსაც პიროვნული ინტერესები დაკმაყოფილებული იქნებოდა მხოლოდ სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციის გზით. ისეთ პირობებში კი, როდესაც პირადი კეთილდღეობის მისაღწევად არა მხოლოდ საკუთარ სინდისთან კომპრომისზე წასვლაა საჭირო, არამედ აუცილებელია სახელმწიფოსთვის საზიანო ქმედებაც, აშკარაა, რომ ამგვარი საზოგადოების ნაციონალიზმი და სახელმწიოებრიობა მრავალმხრივ დეფექტურია. ტოტალიტარული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი არაერთი რეციდივი გვახლავს თან და მათგან გათავისუფლება არც ისე იოლია, როგორც ეს წარმოედგინა ჩვენს ეროვნულ ოპტიმიზმს რეფორმების ადრეულ ეტაპზე.“** ეს ღრმა და ზუსტი დიაგნოზი მოცემულია ფილოსოფოს მამუკა ბიჭაშვილის წერილში „ქართული ნაციონალიზმი“, რომელიც ჯერ კიდევ 1999 წელს გამოქვეყნდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პირველ წლებში მიღწეული მთავარი შედეგი სწორედ ის იყო, რომ უმოკლეს დროში მრავალ სფეროში გამოიკვეთა კონტურები ეგრეთ წოდებული „გაფართოებული წესრიგისა“, ანუ სწორედ პიროვნებისა და სახელმწიფოს ისეთი ურთიერთმორგებისა, რომლის დროსაც პიროვნული ინტერესები დაკმაყოფილებული იქნებოდა სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციის გზით. სამწუხაროდ, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ეს შედეგებიც, როგორც აღვნიშნეთ, თოვლის გუნდასავით დნება, პოლიტიკურ ასპარეზზე კი ეს დადებითი ძვრები არც იყო მიღწეული. უფრო მეტიც, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მასმედიის მნიშვნელოვანმა შესუსტებამ დიდად შეუწყო ხელი კორუმპირებული ავტორიტარული რეჟიმის აღზევებას საქართველოში. დღეს, როგორც ჩანს, პოლიტიკური „ბაზრის“ დონე ბიზნესის განვითარების იმ დონის ტოლფასია, როდესაც ბიზნესმენებს ულირთ ფალსიფიკაციებზე და აფიორებზე წასვლა, როდესაც ისინი მხოლოდ დღევანდელ სწრაფ მოგებაზე არიან ორიენტირებული, ხოლო ვინც ამას არ კადრულობს, კოტრდება და ტოვებს ასპარეზს.

მეორე მხრივ, 2008 წლის აგვისტოს კატასტროფის დროს და შემდგომ თვეებში ერმა ერობის მნიშვნელოვანი თვისებები გამოიჩინა, ხოლო როცა ერი ერობს, მტერი ვერ მტერობს. დღეს ხალხში სწრაფად იზრდება უკმაყოფილება არსებული რეჟიმით. შექმნილი ვითარება საკმაოდ ნოყიერ ნიადაგს უქმნის პოპულიზმს და დემაგოგიას. დრო საკმაოდ მალე გვიჩვენებს, გვეყოფა თუ არა მდგრადობა ამ ეტაპზე. შევძლებთ თუ არა არა მარტო სააკაშვილისა და მისი რეჟიმის გასტუმრებას, არამედ ამასთან ერთად ლიდერის კულტსა და ფიურერიზმზე უარის თქმასაც. ამ ამოცანის გადაწყვეტაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსებობა და განვითარება.

**ფრთხილად, ქართველებო! ჩვენ ობოლი ერი ვართ!** — თქვა ჭაბუა ამირეჯიბმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში 1989 წლის 9 აპრილს. დღეს, ჩვენ მთლად ობლები ნამდვილად აღარ ვართ. ქართველ ხალხს, და არა მის ხელისუფლებას, ძლიერი და სანდო მეგობრები ჰყავს. მეგობრები, რომლებმაც არ მიგვატოვეს და დიდ დახმარებას გვიწევენ მას შემდეგაც, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ უმძიმესი, საღი აზროვნების პოზიციებიდან სრულიად მიუტევებელი შეცდომები დაუშვა და, პირდაპირ ვთქვათ, დიდი დანაშაულიც ჩაიდინა. ეს მეგობრები მუდამ პატიოსნად გვაფრთხილებდნენ, რომ რუსეთთან ჩვენი კონფრონტაციისა და სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში ვერ იომებდნენ რუსეთთან ჩვენს გამო. მაშ ვეცადოთ, შევხვდეთ 9 აპრილს იმ შეგნებით, რომ შეცდომების დაშვების რესურსი აღარ გვაქვს.

**საულ ქერაძე**



გლობუსი

# დემოკრატიის სწავლა ისევე შეუძლებელია, როგორც სიყვარულისა

**9 აპრილის მომლოდინე მკითხველის ყურადღება კონცენტრირებულია მიტინგსა და მისგან გამომდინარე შედეგზე. მასმედიის, ხელისუფლების და ოპოზიციის ხელშეწყობით ამ დღის პოლიტიკური დატვირთვა არნახულ დონემდე ავიდა, რის შემდეგაც ყოველი საშუალო ან დაბალი შედეგი საზოგადოების მიერ წაგებულად იქნება აღქმული. ეს კი თავისთავად, დიდი ხნით იმედგაცრუების საწინდარი გახდება. საზოგადოება, რომელიც საკუთარ ბედს მიტინგებით და დემონსტრაციებით წყვეტს, 18-წლიანი თავისუფალი ცხოვრების განმავლობაში, ტრადიციულად მიმართავს ნაცად ხერხს — ქუჩაში გამოსვლით ხელისუფლების შეცვლას.**

სავალალო წესი, რომელიც საქართველოში ჩამოყალიბდა დიამეტრიულად განსხვავდება ბუშ მეორის მიერ საქართველოსთვის ნაბოძები ამბიციური ტიტულისგან — დემოკრატიის შუქურა. ამერიკელი „დემოკრატის“ უპასუხისმგებლო ნათქვამს საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია. პირიქით ისე გაათამამა ხელისუფლება, რომ საკუთარ ხალხს ცემა და შეურაცხყოფა არ მოაკლო. ხელისუფლება ხშირად ამბობს, დემონსტრაციები და მიტინგები ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ამსახველიაო, რითიც არაფრით განსხვავდებით დემოკრატიული დასავლეთისგანო. ცხადია, დემოკრატიულ დასავლეთში არცთუ იშვიათად ეწყობა დემონსტრაციები და გაფიცვები, მაგრამ ნაკლებად, იმ საკითხზე, როგორც ჩვენთან. დასავლეთში, ხელისუფლების ყოფნა-არყოფნა გამჭვირვალე, დემოკრატიულ არჩევნებზე წყდება. **დასავლეთში წარმოუდგენელია რეიტინგდაცემული ხელისუფლების იმ პროცენტებით „გამარჯვება“, რაც 18 წლის განმავლობაში ჩვენთან ხდება. დასავლეთში მიტინგს, დემონსტრაციას, სხვა დატვირთვა აქვს — დამატებითი, გამაფრთხილებელი, უკიდურეს შემთხვევაში, რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით.** დასავლელ ხელისუფალთა დამოკიდებულება სახალხო მანიფესტაციებისადმი უაღრესად პასუხისმგებლურია არა მარტო მოთხოვნათა მიმართ გამოჩენილი ყურადღებიდან, არამედ მომიტინგეთა მიმართ თავშეკავებული რეაქციიდან გამომდინარე. ამის მოწმე გახდა მსოფლიო დიდი ოცეულის და ნატოს სამიტების დროს ლონდონში, სტრასბურგში, ბადენ-ბადენში. **ათეულ ათასობით დემონსტრანტის აშკარად გამომწვევ ქცევას, პოლიციამ თავშეკავებული, აკადემიური პასუხი შეაგება. ის არ გადასულა შეტევაზე: ის დემონსტრანტთა შეტევას იგერიებდა.** დემონსტრანტთა მოთხოვნა იყო: მსოფლიოში არსებული საფინანსო-ეკონომიკური სისტემის შეცვლა, უმუშევრობის ალაგმვა, ერაყ-ავღანეთში ომის შეწყვეტა, „მსუქანი კატების“, ანუ ბანკირების მოთოკვა, სხვა მასშტაბური, მსოფლიო მნიშვნელობის საკითხები, რომლებთან შედარებით ქართველ მომიტინგეთა მოთხოვნა გაცილებით მარტივი და ლოკალურია. მისი ძირითადი თემა ხელისუფლების გადადგომა და გაუყალბებელი არჩევნების ჩატარებაა. **გაუყალბებელი არჩევნების მოთხოვნა ქართველი ამომრჩევლის აუსრულებელ ოცნებად რჩება და ალბათ ასეც დარჩება, ვიდრე იარსებებს „დემოკრატიული“ დასავლეთისა და აშშ-ს ორმაგი სტანდარტი — დემოკრატიის ყასიდი ძახილი და ანტიდემოკრატიული ხელისუფლების უკიდეგანო მხარდაჭერა. მათთვის წინა პლანზე საკუთარი ინტერესების გატარება, რეგიონში მყარი პოლიტიკური პლაცდარმის შექმნაა. დასავლეთის აზრით საქართველოსთვის ჯერჯერობით შეუფერებელია დასავლური დემოკრატია. საქართველოსთვის შესაფერია მესამე ქვეყნებისათვის შემუშავებული დემოკრატიისა და არჩევნების სტანდარტი. დასავლეთისთვის, კერძოდ აშშ-სთვის დემოკრატიაზე მეტად, მნიშვნელობა აქვს მათი სურვილების უყოყმანო შემსრულებელი ხელისუფლების მხარდაჭერა. ამ შემთხვევაში დასავლეთი ყველაფერს აკეთებს ხელისუფალთა დასახმარებლად.** გარდა ფინანსური დახმარებისა, ფართო პროპაგანდისტულ ზეწოლას ახდენს მოსახლეობაზე, ატარებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას, რომლის შედეგი წინასწარ არის გათვლილი და რომლის მიხედვით ხდება მოსახლეობის დარწმუნება, რომ მისი პრეზიდენტი კვლავ პოპულარულია, რომ საქართველოს მოსახლეობას უყვარს ამერიკა, რომ აგვისტოს ომი რუსეთმა დაიწყო და სხვა. ამდაგვარ საყოველთაო გამოკითხვას ამას წინათაც ჰქონდა ადგილი. მისი მიხედვით სააკაშვილის რეიტინგი 37 პროცენტს უტოლდება და ეს ყველაფერი — გასული წლის ომის, სხვა მცდარი ქმედებების შემდეგ. **დარწმუნებული ვარ, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილი გამოკითხვის მონაცემები ადმინისტრაციის უმაღლესი თანამდებობის პირთა მაგიდაზე დევს იმის დასადასტურებლად, რომ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს სააკაშვილსა და მის პოლიტიკას, ხოლო მომიტინგენი უმცირესობის საწინააღმდეგო აზრის გამომხატველი არიან. უმცირესობის აზრის გამოხატვა კი, თუნდაც მიტინგით, საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების მიერ დაშვებულია. გარდა ამისა, საზოგადოებას მეთოდურად, სისტემატურად უნერგავენ აზრს, რომ ხელისუფლების შეცვლა მასზე არ არის დამოკიდებული, ხელისუფლება ვაშინგტონში იცვლება და თუ ვაშინგტონი არ გადაწყვეტს არის თუ არა შესაცვლელი პრეზიდენტი, საშველი არ დაგვადგება. ვაშინგტონმა 18 წლის მანძილზე არაერთხელ დაგვიმტკიცა თავისი პოზიცია. გავიხსენოთ 2003 წლის შემოდგომა და ბეიკერის ვიზიტი საქართველოში. მისი რჩევა შევარდნაძისთვის პენსიაში გასვლის თაობაზე.**

ქართველ პოლიტიკოსებს, მათთან დაახლოებულ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უყვარს ხმამაღლა განცხადება ქართველის ევროპელობასთან დაკავშირებით, რომ დიდი ხნის შემდეგ ვბრუნდებით ევროპაში. ვიყავით ან ვართ თუ არა ევროპელები, სერიოზული განსჯის თემაა. გარდა ამისა, რით არის ცუდი კავკასიელობა? ყველა ევროპელი ვერ იქნება, თანაც მარტო კანისფერი ან გარეგნობა (ესეც სადავოა) ევროპელობის დამადასტურებლად არ გამოდგება. ამ შემთხვევაში აზროვნების, ცხოვრების წესს ექცევა გადამწყვეტი მნიშვნელობა. და რაც მთავარია, პოლიტიკურ კულტურას. ის, რისთვისაც 9 აპრილი შეიკრიბა ნათელი მაგალითია ამ უკანასკნელის სერიოზული დეფიციტია. **განვლილი 18 წლის მანძილზე არაერთხელ ვიხილეთ ქართველ პოლიტიკოსთა ანტიევროპულობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, კარგად ჩანდა და ჩანს მაღალი სკამისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ხელისუფლებაში სამარადისო ყოფნის სურვილი, საკუთარი ოჯახის, ნათესავების, ახლობლების, კლანის ბედნიერება და მატერიალური დოვლათის შექმნა იყო და არის საქართველოს ხელისუფალთა უპირველესი მოთხოვნილება. ქვეყანა, ხალხი ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემსრულებელია.**

სამწუხაროდ, დასავლური დემოკრატია ყოფილ საბჭოთა სივრცეში, ჯერჯერობით შეუფერებელი პოლიტიკურ-კლიმატური პირობების გამო ვერ ხარობს. დასტურად აზერბაიჯანის 18 მარტის რეფერენდუმი და ცენტრალური აზიის ქვეყნების მიერ ადრე მიღებული საკანონმდებლო აქტებიც კმარა. ისინი უზრუნველყოფენ პრეზიდენტების სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტობას. ყოველივე ამას მშვენივრად ეგუება „დემოკრატიული“ დასავლეთი. უფრო მეტიც, აზერბაიჯანის რეფერენდუმზე დამკვირვებლებსაც აგზავნის.

დარწმუნებული ვარ, საქართველოშიც ექნებოდა ანალოგიურს ადგილი, რომ არა სააკაშვილის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები, თუმცა ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს.

ამერიკულ პოლიტიკაში ღრმადგამჯდარი გამოთქმა „საკუთარი ძაღლის შვილი“ გაცილებით, რომ სჯობს დემოკრატიულად არჩეულს, ფაქტია. ამერიკისთვის ასეთთან ლაპარაკი იოლია, ისე, როგორც მისი სხვათა წინააღმდეგ გამოყენება. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, პირველიდან დაწყებული, კარისკაცით დამთავრებული, ასრულებს ვაშინგტონის დავალებას — კავკასიაში რუსეთისთვის პრობლემების შექმნას.

„შტეტინიდან ბალტიამდე, ადრიატიკიდან ტრიესტამდე კონტინენტზე ჩამოეშვა რკინის ფარდა... ეს არ არის ის გათავისუფლებული ევროპა, რისთვისაც ვიბრძოდით. ეს ის არ არის, რაც ესაჭიროება მუდმივ მშვიდობას“ — ეს სიტყვები უდიდეს პოლიტიკოსს უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნის. ეს სიტყვები მან 1946 წლის 5 მარტს წარმოთქვა აშშ-ს ქ. ფულტონში, მაშინ ის ოპოზიციის ლიდერი იყო, ანუ მეორე მსოფლიო ომის გმირი, საკუთარი ქვეყნის არჩევნებში დამარცხებული. აშშ-ს პრეზიდენტის ტრუმენის თანდასწრებით წარმოთქმულმა სიტყვამ ცივი ომის დადგომა აუწყა მსოფლიოს. ცივი ომი დღესაც გრძელდება, სხვა კუთხით, სხვა მოდიფიკაციით. ისე, როგორც წინათ, ფაქტია ფარულ-ხილული დაპირისპირება, რაც განსაკუთრებულ კულმინაციამდე მიიყვანა ბუშ მეორის ადმინისტრაციამ. არის დაპირისპირების განელების მცდელობაც. თუ აშშ-ს ახალ პრეზიდენტს დავუჯერებთ, ამერიკა-რუსეთს შორის უფრო მეტი შეხების წერტილი მოიძებნება, ვიდრე დაპირისპირების. **სამწუხაროა, რომ დაპირისპირების ერთ-ერთი საკითხი საქართველოა. საქართველოს თემამ გაიჟღერა ობამა-მედვედევის და ნატოს 60 წლისათვის აღსანიშნავ სამიტზე. ობამამ თქვა, რომ აშშ ვერ შეეგუება გავლენათა სფეროების არსებობას. ნათქვამი თავისთავად იწვევს რუსულ მხარეში წინააღმდეგობას, ვინაიდან ოფიციალური ვაშინგტონის და ნატოს მიზნები იყო და არის სწორედ გავლენის სფეროების მოპოვება. სწორედ ამას ემსახურებოდა პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკული ფინანსებით განხორციელებული ე. წ. ფერადი რევოლუციები.** ლონდონისა და ნატოს სამიტები ქართულმა პოლიტიკამ მორიგ პიარ კამპანიად აქცია, რითაც ახალი ზეწოლა განახორციელა გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებაზე — აშშ კვლავ რჩება საქართველოს პარტნიორიო, ობამამ მკაცრად გააფრთხილა მედვედევი საქართველოში ინტერვენცია არ განახორციელოო და სხვა. ხელისუფლების მოლაქუცე პოლიტოლოგია უფრო შორს წავიდა — კარგია, რომ ამერიკა-რუსეთს შორის უთანხმოებაა, ეს საქართველოს წისქვილზე მიუშვებს წყალსო და სხვა. **გადაჭრით შეიძლება ითქვას — არც ერთი დაპირისპირება, მით უმეტეს დიდ სახელმწიფოთა შორის, სასიკეთოდ არ წაადგება საქართველოს. ვაშინგტონიდან გულის გამაკეთებელი შეძახილის მძიმე შედეგი არა სააკაშვილმა, არამედ ქართველმა ხალხმა გამოსცადა თავის თავზე გასულ აგვისტოს. ამერიკელი გენერლის ამასწინანდელმა მხარდაჭერამ უწინდებურ მილიტარისტულ რელსებზე შეაყენა საქართველოს ხელისუფალი და თუ დროულად გონს არ მოვეგეთ, ვითარება 8 აგვისტოზე მძიმე იქნება.**

9 აპრილის აქცია ნათელი დასტურია იმისა, რომ საქართველო უაღრესად შორს არის დემოკრატიისაგან. ქვეყანას, სადაც მხოლოდ ქუჩაში გამოსვლით წყდება პოლიტიკური საკითხები არ შეიძლება დემოკრატიული ეწოდოს, რაშიც უპირველეს ყოვლისა დამნაშავე პოლიტიკური ძალები, ხელისუფლება, როგორც დღევანდელი ისე გუშინდელი.

**დიდი რუსი კლასიკოსის გოგოლის არ იყოს ვერაფერი რეფორმა ვერ უშველის ქვეყანას თუ თვით ადამიანში არ მოხდა რეფორმა. დემოკრატიის სწავლა ისეთი შეუძლებელი რამ არის, როგორც სიყვარულის.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

მშიერი დემოკრატია

# წამო დიალოგზე!

**საუბარი, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, კახეთის ერთ ჩვეულებრივ, პოლიტიზებულ სოფელში მოვისმინე.**

— ბიჯოო, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო, ე ოხერი ღორები მამაშორე, თორემ... — ემუქრება გოგია მეზობელს.

— თორემ რა? — ზლაზვნით ეხმიანება შამილა.

— თორემ ისა, რო ერთხელაც მდგომარეობიდან გამომიყვანენ და მაგ შენ ღრუტუნებს სუ სათითაოდ გავაგორებ.

— გააგორებ რა, აღარ უშლიან? შამო ჯერ დავილაპარაკოთ და თუ ვერ შევთანხმდით, მერე გააგორე.

— რა მაქ შენთან სალაპარაკო, ჯო, განა გასაგებად არ გეუბნები?

— არა, შენ პირდაპირ ულტიმატუმს მიყენებ. ეგრე არ გამოვა.

— აბა რა გინდა, მოგეფოლორცო?

— მაგას არა გთხოვ. წამო დიალოგზე, ვერა ხედავ, მთელ მსოფლიოში ახლა კონფლიქტები დიალოგის გზითა წყდება.

— დიალოგი-მიალოგი არ ვიცი მე, რო გეუბნები, ღორები მამაცილე!

— ნუ ხარ რადიკალი, ჯო. ვიდრე მოგაცილებდე, ხო უნდა გავარკვიოთ, რა დააშავეს?

— მაგას რა გარკვევა უნდა, აგე მთელი ბოსტანი გადამითხარეს.

— გადათხარეს, ძმაო, ხო არაფერი შაჭამეს?

— შაჭამეს, აბა არ შაჭამეს? აბა ნახე, თებერვალში რო კარტოფილი დავთესე, კიდე დარჩა რამე შიგა?

— ჰოდა მაგიტო გეუბნები, დავსხდეთ, გავარკვიოთ, რამდენი შეჭამეს. ხო შეიძლება, სულაც არ უნდოდათ შენი დაზარალება, მაგრამ ვიღაცამ ისარგებლა ღორების მიამიტობით და პროვოკაციაზე წამოაგო?

— ვის უნდა წამოეგო?

— რა ვიცი, შეიძლება სულაც ოპოზიციის ხელი ურევია!

— ოპოზიცია ვითომ ღორებს შეეკვრებოდა?

— რატომაც არა, ხო ხედავ, მთავრობის რეიტინგის დასაცემად ყველაფერს კადრულობენ.

— მეც არ გამიკვირდა, ამ ბოლო დროს მაგიტომ აიჩემა მთავრობამ დიალოგი, დიალოგიო?

— აა, მადლობა ღმერთს, მიხვდი. მიშა რო მიშაა, ისიც კი დიალოგზე მიდის.

— მიშას რა აქვს სადიალოგო, ჩემო ძმაო, იმხელა რუსეთი დაამარცხა.

— მაგის მიუხედავად, თავმდაბლობას იჩენს და იქით მედვედევს და აქეთ კიდევ ნათელაშვილს დიალოგზე ეპატიჟება.

— კარგი ჰო, მეც წამოვალ მაგ რაღაც დიალოგზე, — მოლბა გოგია, — მაგრამ იმ ზარალს ვინ ამინაზღაურებს?

— სწორედ მაგიტომ გვინდა დაილოგი, რო გავარკვიოთ, ნამდვილად იზარალე თუ არა, ან ღორები ამაში საერთოდ დამნაშავენი კი არიან?

— როგორ კაცო, ბოსტანი მაგათ არ გადამითხარეს?

— მაგრამ, ხო შეიძლება, ღორებმა ის სულაც შენ სასარგებლოდ გადათხარეს?

— რანაირად? — გაიკვირვა მეზობელმა.

— ძალიან მარტივად, შემოდგომაზე მიწის დამუშავება აღარ დაგჭირდება და დიზელის საწვავი, რომელიც სააკაშვილმა უნდა გაჩუქოს, მუქთად შეგრჩება.

— ესე იგი, შეიძლება დაზარალებული მე კი არა, შენ აღმოჩნდე?

— წინასწარ ვერაფერს გეტყვი. მთავარია, დიალოგი ისე წარვმართოთ, რო უსამართლოდ არავინ დაზარალდეს და სამივე მხარის (ჩემი, შენი და ღორებისძ უფლებები თანაბრად დაცული აღმოჩნდეს.

— და შენ ფიქრობ, რომ ასეთი დიალოგის შემდეგ ღორები დანამუსდებიან და ბოსტანს აღარ წამიხდენენ?

— ეგეც დიალოგზე გაირკვევა.

— ერთი შენი დიალოგიც... — კახურად შეიკურთხა გოგიამ და ეზოს კარი მაგრად გაიჯახუნა.

მას შემდეგ გოგიას და შამილას აღარ შევხვედრივარ, მაგრამ მობილურით დავადგინე, რომ ისევ კონფრონტაციაში არიან. რას ელოდებიან? თურმე სააპრილო დემონსტრაციებს და ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს. იმედი აქვთ, რომ ხელისუფლება თუ გადემოკრატდა, ღორების დამოკრატიასაც წინ აღარაფერი დაუდგება!

**ოთარ ხუციშვილი**

### ხმა ზევრისა

## გენერალური რეპეტიცია



**რუსთაველზე მოსალოდნელი დღევანდელი ვნებათაღელვის წინ საზოგადოების ერთმა ნაწილმა მოთელვა გუშინ ვაკეში გაიარა.**

ქომაგთა ლიგის ინიციატივით შეკრებილი მომიტინგენი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის გადადგომასა და რიგგარეშე ყრილობის დანიშვნას ითხოვდნენ. არალეგიტიმურად, ნაციონალთა გავლენიანი ფრთის ზემოქმედებით „არჩეული“ სფფ-ს თავკაცისადმი ნდობის ვოტუმის ამოწურვის ძირითად მიზეზად კი ქართული ფეხბურთის გაჩანაგებულ ინფრასტრუქტურას, ბავშვთა ფეხბურთში შექმნილ კატასტროფულ ვითარებას, ეროვნული ჩემპიონატის უდაბლეს დონეს და ქვეყნის ნაკრების უცხოელი მწვრთნელებისათვის გადახდილი საბიუჯეტო მილიონების წყალში გადაყრას ასახელებდნენ. ბუნებრივია, არგუმენტები სხვაც ბევრია, მაგრამ ჩამოთვლილებიც საკმარისია სამართლიანობის აღსადგენად.

დიახ, ქართული ფეხბურთი ღირსია მას საფეხბურთო ოჯახის რჩეული მართავდეს და არა ძირმომპალი ვარდყვავილოვანი რეჟიმის ლაქია.

### წკეპლიკა

## ორიოდ სიტყვა ფუფუნებისა გამო

**„არჩევნები ძვირი ჯდება, მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის დროს საქართველოსათვის ეს დიდი ფუფუნებაა და თავს ამის ნებას ვერ მივცემთ“. – ეს თუ რაღაც მსგავსი, ნახევარი ენაპირით ამოღერღა არცთუ უცნობმა ერთმა პარლამენტარმა ტელეეკრანზე.**

დიდჩინოსნებისთვის მაღალი ხელფასების დატოვება შეიძლება იმავე კრიზისის პირობებში, პრეზიდენტისთვის პორნომასაჟისტი ქალბატონის ჩამოყვანა შეიძლება (აქედან თვითმფრინავის გაგზავნით), უცხოეთში კვირაობით „სამივლინებო“ გრიალი შეიძლება (ვითომ რამეს მაინც აკეთებდნენ ქვეყნისათვის – თუ აკეთებენ, რატომ არცრა გვეტყობა?) და კიდევ ბევრნაირი ფუფუნება შეიძლება ძლიერთათვის ამა საბრალო ქვეყნისა და არჩევნები არა?

საგულისყურო განცხადება ამოუღერღავს „სანახევროდ“, იმ არცთუ უცნობ დეპუტატს! რას იტყვით თქვენ?..

**ლუკა გორგაძე**

### ფეხბურთი

## სამშაბათის პარალელები



**ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური რაუნდის ორივე შეხვედრა ფრედ დასრულდა: „მანჩესტერი“ – „პორტუ“ 2:2 (რუნი, ტევესი; როდრიგესი, გონსალესი), „ვილიარეალი“ – „არსენალი“ 1:1 (სენა; ადებაიორი). სხვათა შორის, ორივე მატჩში ანგარიში სტუმრებმა გაათანაბრეს.**

პარალელები ამით როდი მთავრდება. მაგალითად, პირველი წყვილი კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირში 2004 წელსაც დაუპირისპირდა ერთმანეთს და „ოლდ ტრაფორდზე“ გამართული მაშინდელი ჯახიც ზავით დაგვირგვინდა. ამჯერად დაფიქსირებული შედეგი მნიშვნელოვანწილად მასპინძელთა დაცვის ცენტრში ტრავმირებული ფერდინანდის არყოფნით გაჩენილმა ბზარმა განაპირობა.

რაც შეეხება „ელ მადრიგალზე“ განვითარებულ მოვლენებს, იგი „მეთოფეთა“ აფრიკელი ლეგიონერის ადებაიორის „მაკრატელათი“ გატანილმა ულამაზესმა გოლმა დაამშვენა. ისიც უნდა ითქვას, რომ ესპანელთა თამაშს დიდი ეროვნული ნაკრების წევრის კასორლას არყოფნამ დაასვა, რომელმაც ფეხი პრიმერადივიზიონის უკანასკნელ ტურში „ალმერიასთან“ ბრძოლაში მოიტეხა. თუმცა, რადგან საკადრო პრობლემა ვახსენეთ, წურც არსენ ვენგერის შეგირდებს – როსიცკისა და ედუარდოს დავივიწყებთ, რომლებიც კარგა ხანია ლაზარეთში მკურნალობენ.

### ჩოგბურთი

## „ჯოკოს“ თვალი ყველაზე მახვილია



**მსოფლიოს მესამე ჩოგანი სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი კოლეგათა შორის საუკეთესო მხედველობით გამოირჩევა. იგი ერთადერთია ელიტურ საზოგადოებაში, ვინც სადავო სიტუაციებში 50-ზე მეტი პროცენტის შემთხვევაში გამართლდა.**

„გოუ ტენისის“ ინფორმაციით, პროფესიონალ ჩოგბურთელთა და ქალთა ჩოგბურთის ასოციაციებმა გასულ კვირაში მაიამის კორტებზე გამართულ ტურნირ „სონი ერიქსონის“ დღეებში მოაწყვეს შესაბამისი გამოკვლევა, ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც სისტემა „შევარდნის თვალის“ გამოყენების საერთო რიცხვმა 10 000-ს გადააჭარბა.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სისტემა 2006 წელს დანერგეს და როგორც გამოირკვა, განვლილ პერიოდში ვაჟები ქალებთან შედარებით სადავო სიტუაციებში თითქმის ორჯერ უფრო მეტჯერ ითხოვენ საქმეში ტექნიკური საშუალების ჩარევას. კერძოდ, 6279 შემთხვევიდან კაცების გამართლება მხოლოდ 35 პროცენტი შეადგინა, „მშვენიერთა სქესის“ წარმომადგენლების პრეტენზიები კი „მსაჯულმა“ 36 პროცენტში დააკმაყოფილა.

რაც შეეხება ბალკანელს, მისი ფანტასტიკური ინდივიდუალური მაჩვენებელი 55 (!) პროცენტია. ეს მაშინ, როცა როჯერ ფედერერმა 39 პროცენტი „მოაგროვა“, ზემოთნახსენები მაიამის ტურნირის გამარჯვებულმა ენდი მარეიმ – 25.

### „ფორმულა-1“

## „მაკლარენს“ ბრალს სდებენ

**ავსტრალიის დიდი პრიზის გათამაშებისას მომხდარი ინციდენტის გამო „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე „მაკლარენის“ გუნდის ხელმძღვანელობა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს წინაშე წარსდგება.**

მაშინ „ტოიოტას“ იტალიელი პილოტი იარნო ტრული ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის ყოფნისას „მაკლარენის“ წარმომადგენელ ლუის ჰემილტონის გასწრებისთვის სტიუარდებმა 25-წამიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მოგვიანებით დადგინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონმა აპენინელს შეგნებულად დაუთმო გზა, რადგან შესაბამისი ინსტრუქცია ბოქსებიდან მიიღო, ბრიტანელმა და მისმა პარტნიორებმა კი ამის თაობაზე კრინტი არ დაძრეს. მეტიც, უფროსობამ აიძულა სახელოვანი მრბოლი, სტიუარდებისთვის ცრუ ინფორმაცია დაედასტურებინა.

იცოდნენ რა, რომ ასეთი საქციელის შედეგად სხვა გუნდის წევრს უსამართლო სანქცია არ ასცდებოდა, „მაკლარენის“ ბოსებს არცკი უცდიათ სიტუაციის გამოსწორება და ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასაც კი არ დაკავშირებიან.



ეს უკანასკნელი „მაკლარენს“ სპორტული კოდექსის ხუთი პუნქტის დარღვევაში ადანაშაულებს.

აღნიშნული საქმის მოსმენა პარიზში 29 აპრილისთვისაა დანიშნული.

### ველოსპორტი



## ექს-ჩემპიონის აღსასრული

**ტრეკზე რბოლაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჯობი დაიკა საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს. მისი გარდაცვალების მიზეზებზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.**

უდიდესი წარმატება 27 წლის ავსტრალიელმა ველოსიპედისტმა 2002 წელს კეირინში მოიპოვა, ხოლო ორი წლის შემდეგ მის კარიერაში სერიოზული კრიზისი დაიწყო. კერძოდ, არ აპატიეს დოპინგ-სკანდალში გარეული ერთ-ერთი თანაგუნდელის სასარგებლოდ მიცემული ცრუ ჩვენება და ათენის ოლიმპიადისთვის დაკომპლექტებული ეროვნული ნაკრებიდან გარიცხეს, ხოლო 2005 წელს ნაკრების მთავარ მწვრთნელ მარტინ ბარასაზე განხორციელებულ თავდასხმაში დაადანაშაულეს და სამთვიანი პირობითი სასჯელი აკმარეს.

კიდევ ერთი სანქცია „მწვანე კონტინენტის“ მკვიდრს მოგვიანებით ელოდა – მორიგი სკანდალური ფაქტის გამო სამწლიანი დისკვალიფიკაცია „გამოუწერეს“, თუმცა 12 თვის შემდეგ შეიწყალეს.

### ხელოვნება

## მერი წულუკიძე



ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა ექიმი-პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის პულმონოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს პედიატრთა ასოციაციის გამგეობის წევრი, ჟურნალ „საქართველოს პედიატრის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე მერი წულუკიძე.

ქ-ნი მერი წულუკიძე იყო პედიატრიის ს/კ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობის და სიცოცხლისთვის“ წევრი, დაჯილდოებულია მედლებით. 2000 წელს პრეზიდენტის განკარგულებით, ბავშვთა სამედიცინო მომსახურების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისთვის, ნაყოფიერი სამედიცინო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მ. წულუკიძე 160-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია, გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები, მონოგრაფიები.

ქ-ნ მერის ერუდიციას ამშვენებდა ქართული პოეზიის და ლიტერატურის განუზომელი სიყვარული და მისი ზეპირსიტყვაობა. მას გამოქვეყნებული აქვს მოთხრობები და საბავშვო იგავ-არაკები.

...წავიდა ჩვენგან გულმხურვალე ქართველი, პატრიოტი, მამულიშვილი, თვალსაჩინო მეცნიერი, ერუდირებული პედიატრი, აკადემიური პედაგოგი, ნამდვილი ინტელიგენტი, არისტოკრატული სიდარბაისლის ექიმი-კლინიცისტი, ბრწყინვალე მეუღლე, დედა, ბებია, მეგობარი. მას მისმა აღზრდილებმა მიუძღვნეს ეს სიტყვები: „ჩვენო მისაბაძო და სათაყვანებელო, უსაზღვროდ პოეტურო, პატარების კეთილო ფერიავ, კოლეგათათვის სამართლიანო და მტკიცე საყრდენო“...

მის ნათელ ხსოვნას, როგორც მეცნიერზე, პედაგოგზე, პედიატრზე და მოქალაქეზე დიდხანს შეინახავენ ჩვენი პედიატრიული საზოგადოება, მისი აღზრდილები – მოწაფეები, მეგობრები, პაციენტები, მათი მშობლები და მთელი საზოგადოება...

**ი. ფაღავას სახ. პედიატრიის ს/კ ინსტიტუტი,**
**საქართველოს პედიატრთა ასოციაცია**

---

**დედა ეთერ ფარულავა, მეუღლე თინა ჭაჭუა, შვილები ირაკლი, ლევან არდაშელიები, რძლები თიკო გაბედავა, ნინო შოვნაძე, შვილიშვილები ანა, ლიზი, ელენე არდაშელიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გურამ აპოლონის ძე არდაშელია**

**პანაშვიდი 10, 11 IV, 17 სთ. დაკრძალვა 12 IV, 14 სთ. მისამართი: ნუცუბიძის IV მ/რ, გიმნაზიის ბაღი.**

---

სს „ახალქალაქის რძეს“ საწესდებო კაპიტალში აქციათა 95,25 პროცენტის მფლობელი არამ სანოსიანი, თანახმად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის $53^4$ მუხლისა, აცხადებს აქციათა სავალდებულო შესყიდვას.

ტ. 895-20-40-39.

---

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „მასპინძლის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**2009 წლის 29 აპრილს, 16 სთ-ზე, სს „მასპინძლის“ აქციონერის ბატონ ჯონდო გიგანის მოთხოვნით მოწვეულია აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: თბილისი, თარხნიშვილის ჩიხი I.**

**დღის წესრიგი:**

1) სს „მასპინძლის“ ფინანსური საქმიანობის შემოწმების მიმდინარეობის შესახებ;

2) სასტუმრო კოლხეთში ჯ. გიგანისა და ბ. ხარძიანის საკუთრებაში არსებული ფართის გაყიდვაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე 2009 წლის 8 აპრილი. აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება გაერთიანებულ ქართულ რეგისტრატორთან. მის: ჭავჭავაძის გამზირი №74ა.

# შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იურიდიული და კონსალტინგური საერთაშორისო კომპანია „ფარის“ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## თავი პირველი
## ზოგადი დებულებები

**მუხლი 1. დებულების გამოყენების სფერო და მიზნები**

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის სტრუქტურას, ადგენს არბიტრაჟის შექმნისა და საარბიტრაჟო დავის განხილვის წესს. დებულება გამოიყენება შპს „ფარის“ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის მიერ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამოქალაქო სამართალურთიერთობის სუბიექტებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

2. თუ „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონით და ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საარბიტრაჟო საქმის წარმოებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება დავის საარბიტრაჟო განხილვის პრინციპებს.

**მუხლი 2. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატა**

მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფარის“ სტრუქტურული ერთეულია. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატა შედგება:

ა) არბიტრებისაგან, რომლებიც შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან შპს „ფართან“ და ამ დებულებით გათვალისწინებული წესით ინიშნებიან არბიტრაჟის წევრებად.

ბ) სამდივნოსაგან, რომელსაც ხელმძღვანელობს საქმის მწარმოებელი და რომელიც ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში აწარმოებს არბიტრაჟის სხდომის ოქმს, საარბიტრაჟო საქმეთა სარეგისტრაციო ჟურნალებს და უზრუნველყოფს მათ შენახვას. სამდივნოსა და საქმისმწარმოებლის დამატებითი ფუნქციები მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება.

გ) მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის საორგანიზაციო საქმიანობას ხელმძღვანელობს და მატერიალურ – ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფს პალატის დირექტორი, რომელიც იმავდროულად არის შპს „ფარის“ დირექტორი.

**მუხლი 3. დებულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტება**

1. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი – მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატა, შპს „ფარის“ სრუქტურული ერთეული

2. არბიტრაჟი – ამ დებულების საფუძველზე კონკრეტული საქმის განსახილველად დანიშნულ არბიტრთა შემადგენლობა, რომელიც უფლებამოსილია დებულებით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს მხარეთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა

3. არბიტრი – არბიტრაჟის წევრი

4. არბიტრთა სიითი შემადგენლობა – პირები, რომლებიც შორმისამართლებრივ ურთიერთობაში იმყოფებიან შპს 'ფართან" და რომლებიც დაინიშნებიან კონკრეტული საქმის განსახილველად შექმნილი არბიტრაჟი შემადგენლობის წევრად.

5. დირექტორი – შპს „ფარის“ და მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის ხელმძღვანელი

6. არბიტრაჟის თავმდომარე – კონკრეტული საქმის განხილვისათვის შექმნილი შემადგენლობისათვის თავმჯდომარედ დანიშნული არბიტრი, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს საქმის განხილვას და წარმართავს სხდომებს.

7. დავა – პირთა შორის წამოჭრილი სამოქალაქო (კერძო) სამართლებრივი ხასიათის დავა, რომელიც მხარეთა შორის დადებული შეთანხმებით საგანგებოდ (წერილოითი ფორმით) ეთხოვა არბიტრაჟს.

8. სარბიტრაჟო შეთანხმება – მხარეთა შორის წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება მათ შორის წარმოებული დავის (დავების) საარბიტრაჟო განხილვის გზით გადაწყვეტის შესახებ.

9. მხარე – პირი, რომელიც მონაწილეობს არბიტრაჟისათვის გადაცემული დავის განხილვაში, როგორც პრეტენდენტი ან როგორც მოპასუხე.

10. პრეტენდენტი – საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმდგენი პირი და დავის მონაწილე მხარე

11. მოპასუხე – არბიტრაჟში აღძრული დავის მონაწილე მხარე, რომლის მიმართ წარდგენილია პრეტენდენტის მოთხოვნა

12. დებულება – შპს „ფარის“ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის დებულება.

**მუხლი 4. არბიტრაჟში დავის განხილვის ფორმალური საფუძველი**

წინამდებარე დებულებით არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის ფორმალური საფუძველია მხარეთა შორის გაფორმებული საარბიტრაჟო შეთანხმება.

**მუხლი 5. საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმა და შინაარსი**

1. სააბიტრაჟო შეთანხმება იდება წერილობით. ის შეიძლება დაიდოს ცალკე დოკუმენტის სახით ან შეიძლება გათვალისწინებული იყოს სადავოდ გამხდარი სამოქალაქო გარიგებითაც.

2. საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა შეიცავდეს:

ა) მხარეთა დასახელებასა და მათ საცხოვრებელ ადგილზე მითითებას ან იურიდიულ მისამართი.

ბ) მითითებას დავის საგანზე

გ) საარბიტრაჟო შეთანხმების დროსა და ადგილს

3. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება შეიცავდეს სხვა მონაცემებსაც – შეთანხმებას არბიტრთა რაოდენობის ან დებულებისაგან დავის განხილვის განსხვავებულ პროცედურას, ასევე მითითებას იმის შესახებ, რომ მხარეთა შორის წამოჭრილ დავას განიხილავს შპს „ფარის“ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატა და ა.შ.

**მუხლი 6. საარბიტრაჟო განხილვის ენა**

არბიტრაჟში საქმის განხილვა ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს უფლება აქვს იყოლიოს თარჯიმანი.

**მუხლი 7. საარბიტრაჟო განხილვის ძირითადი პრინციპები**

1. როგორც წესი, არბიტრაჟის სხდომა დახურულია. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები განაცხადებენ თანხმობას სხვა პირების დასწრებაზე.

2. მხარეთა თანხმობით საარბიტრაჟო სხდომაზე დამსწრე პირებს ეკრძალებათ არბიტრაჟის მუშაობაში ჩარევა. არბიტრაჟის მუშაობაში დამსწრე პირების ნებისმიერი ფორმით ჩარევა ჩაითვლება არბიტრაჟის მუშაობისათვის ხელშეშლად, რაც დავის განმხილველი არბიტრაჟის მიერ გაფრთხილების ფორმით ფიქსირდება სხდომის ოქმში შეტანით (ასეთის წარმოების შემთხვევაში) ან უამისოდ და ხელშეშლის ხელმეორედ დაფიქსირების შემდეგ გაფრთხილებულ პირს არბიტრაჟი დაატოვებინებს სხდომის დარბაზს.

3. დავის განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში არბიტრაჟი უფლებამოსილია განახორციელოს „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონითა და ამ დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირის გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საპროცესო მოქმედება.

4. მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე საქმე დაამთავრონ მორიგეობით.

5. არბიტრაჟში საქმის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

6. საქმის გარემოებათა გასარკვევად არბიტრაჟს შეუძლია თავის ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

7. არბიტრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე. რაიმე ზემოქმედება არბიტრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე დაუშვებელია.

8. არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელი.

9. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას.

10. საარბიტრაჟო განხილვა გაიმართება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული.

11. თუ მხარეები არ დაადგენენ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის ვადას, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

12. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენისას არბიტრაჟის შემადგენლობა არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წევრის დანიშვნიდან 10 დღის განმავლობაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

**მუხლი 8. არბიტრაჟის გადაწყვეტილებები**

არბიტრაჟი გადაწყვეტილებებია:

ა) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება

ბ) დადგენილება

**მუხლი 9. სარბიტრაჟო გადაწყვეტილება**

1. არბიტრაჟი მიერ დავაზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, მიიღება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ფორმით, რომელსაც ხელ აწერს არბიტრაჟის ყველა წევრი.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიიღება წერილობითი ფორმით და შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილისაგან. მათი შინაარსი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მოთხოვნებს. ამასთან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში მითითებული უნდა იყოს საარბიტრაჟო შეთანხმებაზე, რომლის საფუძველზეც მოქმედებს არბიტრაჟი.

**მუხლი 10. დადგენილება**

1. არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლითაც დავა არსებითად არ წყდება მიიღება დადგენილების სახით, რომელსაც ხელს აწერს არბიტრაჟის ყველა წევრი.

2. დადგენილება მიიღება წერილობითი ფორმით და მასში აღინიშნება:

დადგენილების გამოტანის დრო, ადგილი და არბიტრაჟის შემადგენლობა, საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც არბიტრაჟი მოქმედებდა, დავის ყველა მონაწილე, დავის აგანი, საკითხი, რომლის თ ობაზე მიიღება დადგენილება, მაზრებები, რომელთა საფუძველზეც მიღებულია დადგენილება სარეზოლუციო ნაწილი, მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, აღსრულების ვადა და/ან დადგენილების ძალაში თარიღი.

**მუხლი 11. ბრძანება**

დებულების მიზნებისათვის მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის დირექტორი საარბიტრაჟ საქმის (საქმიანობის)საორგანიზაციო საკითხებთ ნ დაკავშირებით გამოსცემს ბრძანებებს.

**მუხლი 12. საარბიტრაჟო ვადები**

1. საარბიტრაჟო მოქმედება სრულდება კანონით ან ამ დებულებით დადგენილ ვადებში.

2. თუ საარბიტრაჟო საპროცესო ვადა კანონით ან ამ დებულებით არ არის დადგენილი, ვადის ხანგრძლიობის განსაზღვრისას არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს მხარეების ან კანონით დადგენილი ვადა და იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

3. არბიტრაჟის მიერ დანიშნული საპროცესო ვადა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

4. საპროცესო ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

5. თუ საპროცესო ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

**მუხლი 13. საარბიტრაჟო ხარჯები**

1. საარბიტრაჟო ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები და არბიტრაჟისგარეშე ხარჯები.

2. საარბიტრაჟო ხარჯებია: საარბიტრაჟო მოსაკრებელი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

3. არბიტრაჟგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი (განაცდური), მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

**მუხლი 14. საარბიტრაჟო მოსაკრებელი**

1. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს:

ა. საარბიტრაჟო პრეტენზიაზე

ბ. შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე

გ. მესამე პირის დამოუკიდებელ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე

2. საარბიტრაჟო მოსაკრებლი ოდენობა ქონებრივ დავაზე დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და მისი ოდენობა განისაზღვრება დავის საგნის 1-დან 5 პროცენტამდე პრეტენდეტისა და არბიტრაჟის შეთანხმებით. არაქონებრივ დავებზე საარბიტრაჟო მოსაკრებლის მოცულობა შეადგენს 500 ლარს დღგ-ს გარეშე.

3. საარბიტრაჟო მოსაკრებლის ოდენობა არ შეიძლება იყოს 200 ლარზე ნაკლები და 50 000 ლარზე მეტი.

4. საარბიტრაჟო მოსაკრებელი წინასწარ უნდა იყოს გადახდილი იმ პირის მიერ, რომელმაც არბიტრაჟს მიმართა.

**მუხლი 15. დავის საგნის ღირებულება**

დავის საგნის ფასს მიუთითებს პრეტენდენტი, თუ პრეტენდენტის მიერ მითითებული ფასი არ შეესაბამება დავის საგნის ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს დირექტორი ყველა გარემოებისა და კონკრეტული მონაცემების გათვალისწინებით, მათ შორის საქმის მოცულობის, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის, მათი შემოსავლის მიხედვით და ა.შ.

**მუხლი 16. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები**

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯებია: მოწმეების, თარჯიმნის, ექსპერტებისა და სპეციალისტებისათვის მისაცემი ხარჯები, ადგილობრივ დათვალიერებაზე გაწეული ხარჯები და გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები, რასაც წინასწარ გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე, თუ ასეთი საპროცესო მოქმედება შესრულებულია არბიტრაჟის ინიციატივით, მასთან დაკავშირებული ხარჯები თანაბარწილად დაეკისრება ორივე მხარეს.

**მუხლი 17. საარბიტრაჟო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის**

1. იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. თუ პრეტენზის დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ , მაშინ პრეტენდენტს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს

- პრეტენზიის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც პრეტენდენტს ეთქვა უარი.

2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები შეთანხმდებიან საარბიტრაჟო ხარჯების განაწილების შესახებ, არბიტრაჟი ვალდებულია, ხარჯები გაანაწილოს მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

## თავი მეორე
## არბიტრაჟის შემადგენლობა და აცილება

**მუხლი 18. რაბიტრაჟის შემადგენლობა**

არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე წევრისაგან (არბირტისაგან). არბიტრაჟის წევრთა რაოდენობას განსაზღვრავენ მხარეები და ეს დებულება, მაგრამ ყველა შემთხვევაში არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა კენტი უნდა იყოს.

**მუხლი 19. არბიტრთა დანიშვნა**

1. არბიტრთა დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები, რაც გულისხმობს, რომ ყოველ ცაკლეულ შემთხვევაში არბიტრაჟის შემადგენლობას დანიშნავენ მხარეები და შპს 'ფარი"-ს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის დირექტორი ან დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – საარბიტრაჟო პალატის დირექტორი. მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს.

2. მხარეები თანაბარი რაოდენობით ნიშნავენ არბიტრაჟის წევრებს, ამიტომ საარბიტრაჟო პალატის დირექტორი ასეთ შემთხვევაში დამატებით კიდევ ერთ წევრს ნიშნავს.

3. თუ მხარეები და მუდმივმოქმედი არბიტრაჟი სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან, საარბიტრაჟო პალატის დირექტორი არბიტრაჟის შემადგენლობას განსაზღვრავს ერთი ან სამი წევრით და არბიტრთა სიითი შემადგენლობიდან დანიშნავს არბიტრებს. არბიტრაჟს თავმჯდომარეობს დირექტორის მიერ არბიტრთა სისითი შემადგენლობიდან დანიშნული არბიტრი.

**მუხლი 20. არბიტრაჟის შემადგენლობა და არბიტრთა დანიშვნის ვადა**

საარბიტრაჟო პალატის დირექტორმა სარბიტრა-

ჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან 10 დღის ვადაში უნდა უზრუნველყოს არბიტრაჟის შემადგენლობის განსაზღვრა და არბიტრთა დანიშვნა.

**მუხლი 21. არბიტრის გადაყენება და აცილება**

არბიტრის გადადგომისა და აცილების წესს განსაზღვრავს კერძო არბიტრაჟის შესახებ კანონის მე-15 და მე-16 მუხლები.

### თავი მესამე
### შეტყობინება და დაბარება

**მუხლი 22. საარბიტრაჟო შეტყობინება**

1. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს საარბიტრაჟო უწყებით ეცნობებათ სარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს კომუნიკაციის სხვა საშუალებითაც, რაზედაც შესაძლებელია დასტურის მიღება.
2. საარბიტრაჟო უწყების ფორმასა და შინაარს ბრძანებით ამტკიცებს მუდმივმოქმედი სარბიტრაჟო პალატის დირექტორი.
3. სარბიტრაჟო უწყების გაგზავნისა და ჩაბარების წესი განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე, 73-ე, 78-ე მუხლებით.

### თავი მეოთხე
### მხარეები

**მუხლი 23. მხარეები საარბიტრაჟო პროცესში**

1. არბიტრაჟში მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები.
2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

**მუხლი 24. მხარეთა საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებები**

1. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და/ან წერილობითი ახსნა-განმარტება. წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წარმოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გაასაჩივრონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ ამ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.
2. პრეტენდენტს უფლება აქვს საქმის მოსამზადებელი სტადიის დასრულებამდე, რაც მოიცავს საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენიდან მთავარი საარბიტრაჟო სხდომის დანიშვნამდე პერიოდს, შეცვალოს საარბიტრაჟო პრეტენზიის საფუძველი და/ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს პრეტებზიაში მითითებული მოთხოვნის ოდენობა.
3. დავის წინასწარი სარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების შემდეგ საარბიტრაჟო პრეტებზიის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის თანხმობით, ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს 5 დღისა.
4. სარბიტრაჟო პრეტენზიის შეცვლილად არ ჩაითვლება პრეტენდენტის მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიაში მითითებული გარემოებების დაზუსტება დაკონკრეტება და დამატება. აგრეთვე პრეტენზიაში მითითებული მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.
5. არბიტრაჟში პრეტენზიის წარდგენამდე ან საქმის განხილვის დროს მხარის შუამდგომლობით არბიტრაჟი უფლებამოსილია თავისი განკარგულებით განახორციელოს ზომები პრეტენზიის უზრუნველყოფის მიზნით, რაც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 23-ე თავით გათვალისწინებულ წესებს. ასეთივე წესით არბიტრაჟს შეუძლია მხარის შუამდგომლობით განახორციელოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება.

### თავი მეხუთე
### საარბიტრაჟო წარმოება

**მუხლი 25. სარბიტრაჟო წარმოება**

არბიტრაჟი საარბიტრაჟო საქმეს აღძრავს მხარის (პრეტენდენტის) მიერ არბიტრაჟში საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენის საფუძვლზე.

**მუხლი 26. საარბიტრაჟო პრეტენზიის შინაარსი და ფორმა**

სარბიტრაჟო პრეტენზია არბიტრაჟს უნდა წარედგინოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:

ა) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;

ბ) პრეტენდენტის სახელსა და გვარს, მისამართს, თუ პრეტენდენტი იურიდიული პირია – მის სახელწოდებას და მისამართს.

გ) მოპასუხის სახელს, გვარს. თუ მოპასუხე იურიდიული პირია – მის სახელწოდებას და მისამართს;

დ) საარბიტრაჟო პრეტენზიის მოთხოვნას;

ე) გარემოებებს, რომელზედაც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნებს

ვ) მტიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;

ზ) სარბიტრაჟო პრეტენზიის ფასს, თუ შესაძლებელია მისი შეფასება:

თ) მითითებას სარბიტრაჟო შეთანხმებაზე;

ი) არბიტრობის სასურველი კანდიდატის (კანდიდატების) სახელს, გვარს, მისამართს, პროფესიას და სხვა მონაცემებს თუ არბიტრს მხარეები ნიშნავენ;

კ) სარბიტრაჟო მოსაკრებელის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს;

ლ) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე დართულ საბუთების ნუსხას.

**მუხლი 27. სარბიტრაჟო პრეტენზიის მიღება არბიტრაჟის მიერ**

1. სარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენის შემდეგ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის დირექტორი სარბიტრაჟო პრეტენზიას თანდართულ მასალებთან ერთად საქმის შემდგომი მსვლელობის მიზნით, დაუყონებლივ გადასცემს არბიტრთა სიითი შემადგენლობიდან ერთ-ერთ წევრს, რომელიც ამავდროულად იქნება ამ საქმეზე არბიტრაჟის შემადგენლობის თავმჯდომარე.
2. არბიტრაჟის თავმჯდომარე ვალდებულია სარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან ხუთი დღის ვადაში მიიღოს საარბიტრაჟო პრეტენზია წარმოებაში.
3. თუ არბიტრაჟის თავმჯდომარე გამოარკვევს, რომ პრეტენზია შეტანილია დებულების 25-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, საარბიტრაჟო პრეტენზიას არ მიღებს და პრეტენდენტს ხარვეზის შესავსებად დაუნიშნავს ხუთდღიან ვადას.

**მუხლი 28 სარბიტრაჟო პრეტენზიისა და თანდართული დოკუმენტების ასლების გადაგზავნა მოპასუხისათვის**

1. საარბიტრაჟო პრეტენზიის წარმოებაში მიღების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე იღბს ზომებს საარბიტრაჟო პრეტენზიისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გადასაცემად.
2. პრეტენდენტი ვალდებულია, არბიტრაჟს წარუდგინოს საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მოპასუხეცაა საქმეში მონაწილე.

**მუხლი 29. შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია**

1. მოპასუხეს უფლება აქვს პრეტენდენტის მიმართ აღძრას შეგებებული საარბიტრაჟო პრეტენზია. შეგებებული სარბიტრაჟო პრეტენზია არბიტრაჟში შეტანილი უნდა იყოს საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე. ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარბიტრაჟო პრეტენზია საარბიტრაჟო პაექრობის დამთავრებამდე, თუ არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას.
2. პირვანდელი და შეგებებული პრეტენზიის ერთად განხილვის შედეგად არბიტრაჟს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება.
3. თუ შეგებებული პრეტენზია აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, პრეტენდენტის შუამდგომლობით ან არბიტრაჟის ინიციატივით შეიძლება საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება. საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული პრეტენზია.

**მუხლი 30. საარბიტრაჟო პრეტენზიის მიღებაზე უარის თქმა.**

1. არბიტრაჟი არ მიიღბს საარბიტრაჟო პრეტნზიას თუ:

ა) არ არსებობს სარბიტრაჟო შეთანხმება

ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ.

გ) მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება

დ) სასამართლოს ან სხვა არბიტრაჟის წარმოებაშია დავა სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება

ე) საქმე არბიტრაჟის განსჯადი არ არის

ვ) პრეტნზია შეიტანა ქმედუუნარო პირმა

ზ) დაინტერესებული პირის სახელით პრეტენზია შეიტანა პირმა, რომელსაც არ აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

2. პრეტენზიის მიღბაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული დადგენილებას მიიღებს არბიტრაჟის თავმჯდომარე, რაც უნდა ჩაბარდეს პრეტენდენტს.

მასვე უნდა დაუბრუნდეს მის მიერ წარდგენილი საბუთები

**მუხლი 31. საარბიტრაჟო განხილვის ეტაპები**

1. საარბიტრაჟო წარმოება მოიცავს საქმის მოსამზადებელ და მთავარ საარბიტრაჟო სხდომებს.
2. მოსამზადებელ სხდომას ნიშნავს არბიტრი, ხოლო თუ საქმეს კოლეგიური შემადგენლობა იხილავს, არბიტრაჟის თავმჯდომარე. თუ მოსამზადებელ სხდომაზე არბიტრაჟი სამქეს საკმაოდ მომზადებულად მიიჩნევს, მხარეების თანხმობით არბიტრაჟს შეუძლია ეს სხდომა მთავარ საარბიტრაჟო ხსდომად გადააქციოს.
3. მას შემდეგ რაც არბიტრაჟი საქმის მომზადების მიზნით ყველა საჭირო მოქმედებას შეასრულებს, დანიშნავს მთავრ სარბიტრაჟო სხდომას. მთავარი სხდომა შეიძლება დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომის ჩატარების გარეშეც.

**მუხლი 32. მთავრი საარბიტრაჟო სხდომის დაწყება**

1. არბიტრი (არბიტრაჟის თავმჯდომარე) დანიშნულ დროს გახნის მთავარ საარბიტრაჟო სხდომას და გამოაცხადებს, თუ რომელი საქმე იქნება განხილული.
2. სხდომის მდივანი მოახსენებს არბიტრაჟს თუ ვინ გამოცხადსა სხდომაზე, ჩაბარდებათ თუ არა უწყებები სხდომაზე გამოუცხადებელ პირობებს და რა მიზეზით არ გამოცხადდნენ.
3. არბიტრაჟი საქმის განხილვას გადადებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწიენბულ შემთხვევებში. საქმის განხილვა მისი გადადების შემთხვევაში გრძელდება იმ ეტაპიდან, რომელზედაც მოხდა მისი შეჩერება.

**მუხლი 33. საქმის განხილვის დაწყება**

საარბიტრაჟო საქმის განხილვა იწყება არბიტრის (არბიტრაჟის თავმჯდომარის) მიერ საქმის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა წარმოდგენილ მასალებს, ხოლო თუ ამ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, მაშინ – ამ სხდომის მასალებსაც

**მუხლი 34. მხარეთა ახსნა-განმარტება**

1. არბიტრის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა. პირველად სასამართლო მოუსმენს პრეტენდენტსა და მის წარმომადგენელს, ხოლო შემდეგ არბიტრაჟი მოპასუხისა და მისი წარმომადგენლის ახსნა-განმარტებებს მოისმენს.
2. მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს მათ შეუძლიათ წამოაყენონ ახალი მოსაზრებები და მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც ადრე არ ყოფილა განცხადებული.
3. არბიტრაჟის თავმჯდომარის ნებართვით თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეკითხვა მისცეს მეორე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამორკვევასა და დადგენას, თავმჯდომარეს შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. არბიტრაჟის წევრებს საარბიტრაჟო განხილვის ყველა ეტაპზე შეუძლიათ მხარეებს დაუსვან შეკითხვები.

**მუხლი 35. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება**

1. საარბიტრაჟო განხილვისათვის საჭირო მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები. არბიტრაჟი უფლებამოსილია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.
2. არბიტრაჟი უფლებამოსილია ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები და გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი. თუ მოწმის გამოცხადება ან მტკიცებულებათა გამოთხოვა შეუძლებელია ნებაყოფლობით, მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით არბიტრაჟი უფლებამოსილია მოწმის გამოძახების, მტკიცებულებათა გამოთხოვისა და უზრუნველყოფისათვის მიმართოს სასამართლოს.

**მუხლი 36. მხარეთა პაექრობა**

1. საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ არბიტრაჟი საქმის გამოკვლევას დამთავრებულად აცხადებს რის შემდეგაც იწყება პაექრობა.
2. პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან. მხარეთა პაექრობის შემდეგ არბიტრაჟი გადის გადაწყვეტილების გამოსატანად, რის შესახებაც უცხადებს სხდომაზე დამსწრე პირებს.

**მუხლი 37. საარბიტრაჟო სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის შედეგები**

1. არბიტრაჟს რომელიც ამ დებულების 21-ე მუხლით დადგენილი წესით იყო გაფრთხილებული და არასაპატიო მიზეზით არ გაოცხადდება სხდომაზე, მისი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საარბიტრაჟო საქმის არსებითად განხილვას. მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის მიუხედავად არბიტრაჟს არა ქავს უფლება, გამოიტანოს დაუსწრებელი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

**მუხლი 38. არბიტრაჟის გადაწყვეტილება**

1. არბიტრაჟს საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვს შპს „ფარის“ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პრეტენზიის არბიტრაჟში წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში, თუ ეს მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. თუ არბიტრაჟი რამდენიმე არბიტრისაგან შედგება, გადაწყვეტილება დადგენილი უნდა იყოს ხმების უმრავლესობით. თუ არბიტრი უარს აცხადებს ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებას, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში.
3. თუ მხარეები არ მოითხოვენ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ან ამას ითვალისწინებს საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟს შეუძლია შემოიფარგლოს გადაწყვეტილების შესავალი, აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილის ჩამოყალიბებით.
4. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოქვეყნება დაიშვება მხოლოდ მხარეთა თანხმობით.
5. არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, განმარტოს ან გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომები.

**მუხლი 39. არბიტრაჟის სხდომის ოქმი**

1. არბიტრაჟში საქმის განხილვა მიმდინარეობს ზეპირად თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. სხდომის ოქმი იწარმოება თუ ამას მოითხოვს მხარე ან დაადგენს არბიტრაჟი. ასეთ შემთხვევაში ოქმი უნდა შედგეს არბიტრაჟის თითოეული სხდომის მიმდინარეობისა და სხდომის გარეშე შესრულებული ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესახებ.
2. ოქმს ადგენს მდივანი საარბიტრაჟო სხდომაზე ან სხდომის გარეშე საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების დროს. ოქმს ხელს აწერს არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი.

### თავი მეექვსე
### საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და აღსრულება

**მუხლი 40. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა**

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების დღიდან, თუ არ არსებობს ამ დებულების მე-40 მუხლით გათვალისწინებული პირობები.
2. ძალაში შესული გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთთავის. საარბიტრაჯო გადაწყვეტილება არ შეიძლება მესამე პირს აკისრებდეს რაიმე ვალდებულების შესრულებას.
3. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატა ვალდებულია ძალაში შესული გადაწყვეტილება შეინახოს მისი გამოტანიდან 20 წლის განმავლობაში.
4. ძალაში შესული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, რომელიც ნებაყოფლობითი არ იქნება აღსრულებული, უნდა აღსრულდეს იძულებით..
5. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო პალატის დირექტორი მხარის მოთხოვნით ან თავისი ინიციტივით გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გასცემს სააღსრულებო წარწერას გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ, რის საფუძველზეც გადაწყვეტილება აღსრულდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 41. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გადასინჯვა-გასაჩივრება**

**1.** მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გადასინჯოს სხვა კერძო არბიტრაჟმა. არბიტრაჟში გასაცივრების ვადა არის 30 დღე თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

**2.** დაინტერესებული მხარე და სხვა პირი უფლებამოსილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გაასაჩივროს საერთო სასამართლოში სასარჩელო განცხადების საშუალებით და მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შეცვლა თუ :

ა. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

ბ. არბიტრაჟის მიერ დარღვეულია საქმის განხილვისა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონით დადგენილი წესები.

გ. განხილულ საქმესთან დაკავშირებით ?არბიტრაჟის წევრმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, არც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე.

**მუხლი 42. დასკვნითი დებულებები**

წინამდებარე დებულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილებები საჭიროებენ შპს „ფარის“ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებას.

## ◉ დღე ტკივილისა და იმედისა







## ◉ ასოციაციები

### „მსგავსება“

**არსებობს ასეთი ლეგენდა: გელათის მონასტერში, მზის საათის ქვევით კუთხეში რომ დიდი ქვაა ჩასმული, დავით აღმაშენებელმა თავისი ხელით აიტანა წყალწითელადანო. თანაც ცალ ხელში ქვა ეჭირა და მეორე ხელით თმას ივარცხნიდაო...**

ეს ამბავი გამახსენდა, როცა ბაგრატის ტაძრის ხარაჩოებზე ამავალი პრეზიდენტი დავინახე (6.04.09) მომცრო ქვით ხელში. ის კი გამიკვირდა, რომ თქვა, პირველი ქვა მე ავიტანე და დავდე კედელზეო, რადგან ცოტა ხნის შემდეგ დააყოლა, ოთხი წელია, რესტავრაცია მიმდინარეობსო... ეს ისე...





ცოტა „მსგავსება“ კი მაინც არის დიდგორის სარდლისა და გორი-ახალგორის სარდლის მოქმედებას შორის..

**თუმცა მეგობარმა მითხრა, მსგავსება მეტი იქნებოდა, პრეზიდენტს ცალი ხელი ცხვირზე რომ მოესვაო...**

### ნაღალატევი მოღალატენი

**ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის პერსონაჟი თავისი ყოფის უბედურებას მისტიროდა:** „ეი, ჰაი, ბიჭო, სად არის პირი და ერთობა! ჩვენსავე მოძმეებს რომ არ ეღალატია, ვის რა ხელი ჰქონდა ჩვენთან! მარა ღალატი და უპირობა! ჰმ... მაშვინ რომ ფხარიდან არ გამოგვეშლოდენ!.. მოატყუეს უბედურები, აღალატებიეს და მერე თვითან უღალატეს!...“

ხელფასს და პრივილეგიებს დახარბებული „ოპოზიციონერები“ პარლამენტში რომ შეიტყუეს, მაშინ გავიხსენე ივანეს ნათქვამი... თუმცა რაღა მაშინ: ყოველ არჩევნებზე ათ და ოც ლარად მოტყუებულებმაც დაღუპეს ქვეყანა... არც იმის გარანტიაა, რომ ხვალაც აღარ გვიღალატებენ ოცდაათ ვერცხლს დახარბებულები...

**იმას კი არ ფიქრობენ, „მოატყუებენ უბედურებს, აღალატებინებენ და მერე თვითონ უღალატებენ“...**

### ეჰ, სადღა ნახავ პატივს, ღირსებას...

**„ჰაკი აძბა“ გახსოვთ? კუზმა მრისხანემ ქალაქის ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა: ერთ საათში მკვლელს თუ არ ჩააბარებდნენ, „გემი ისე იმოქმედებს, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლის“...**

ეს მოახსენეს უჯუშ ემხას, მეზღვაურის მკვლელს და მისგან პასუხს ელოდნენ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდა, ჩაბარდებოდა თუ არა მტერს. პასუხი ღირსეული იყო: „მესმის, ძმებო, ყველაფერი. დაფიქრებაც კი პატივს ამყრიდა თქვენს თვალში...“

პატივისა და ღირსების ასეთი შეგნება რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ჰქონდეთ, გადარჩებოდა ქვეყანა...

**გაბაშვილის, ხაჩიძის, წიკლაურის, ზოდელავას, ხერხეულიძისა თუ სხვების სახეებს რომ ვუყურებ სატელევიზიო დებატებში, ვხვდები, რა დეფიციტი გამხდარა პატივი და ღირსება...**

**გიორგი გოგოლაშვილი**

## ◉ ვაი ჩვენს პატრონს!

# ჩემი რჩეული დიდ ათეულში

### აი, რა მოხდა პირველად საქართველოში!

**მე ამ დიდ ათეულში ჩემი რჩეული წარვადგინე – ლაპო ბერგერი. ეს გამორჩეული პიროვნება ცოტნე დადიანის დისწულია. ცოტნე დადიანის დაიკო ლავრენტი პავლეს ძე ბერიას მესამე ცოლი იყო. მისი შვილი, ჯერ კიდევ სახელდაურქმეველი ბიჭი, ლავრენტი პავლეს ძე ბერიას გერი იყო და ასეც დაერქვა სახელი ლაპო ბერგერი, – ლავრენტი პავლეს ძე ბერიას გერი.**

ლაპო ბერგერი დაიბადა XII საუკუნეში, მამამისი ჰანიბალი გახლდათ, მითრიდატეს ძმა და პილატეს უახლოესი ნათესავი დედის მხრიდან. ერთი პერიოდი აფრიკას ხელმძღვანელობდა სომხეთიდან, შემდეგ ვლადიმერ ილიჩ ლენინის წინააღმდეგ იბრძოდა და ნიურნბერგის ციხეში ამოყო თავი, შემდეგ – ციმბირში. ციმბირიდან დაბრუნებული დავით აღმაშენებელმა




აიყვანა და ჯარის მთავარსარდლად დანიშნა. ლაპო ბერგერმა მოიგო, რა თქმა უნდა, სააკაძესთან ერთად, დიდგორის ომი, შემდეგ ებრძოდა ფაშისტურ გერმანიას და დაამარცხა ნაძირალა ადოლფ ჰიტლერი. იყო საოცარი პიროვნება, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ნაპო ბერგერი გახდა დიდი პოეტი, რომელმაც ხმამაღლა თქვა – **„პირიდან მომდის ლექსი რაკრაკით, ძინძზე მკიდია თქვენი აკაკი“**. ისიც არ დავივიწყოთ, რომ ბოლო წლებში სათავეში ჩაუდგა ნაცისტურ მოძრაობას, დაამარცხა თავისუფალი საქართველო და გაიმარჯვა ჰიტლერის სახელით. ლაპო ბერგერი უღირსეულესი მოღვაწე და შემოქმედი კაცი გახლავთ. ის ღირსია, შეყვანილ იქნას დიდ ათეულში.

– მე მჯერა, ქართველი ხალხი მხარს დამიჭერს.

**ჯანსულ ჩარკვიანი**

**P. S. მოხდა საოცრება, მოხდა ის, რასაც ველოდი. ლაპო ბერგერი დიდი ათეულის მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. თქვენ წარმოიდგინეთ, შოთა რუსთაველი მეათეზეა, ილია ჭავჭავაძე – მეცხრეზე, დავით აღმაშენებელი – მერვეზე.**

**დიდი მადლობა ქართველ ამომრჩეველს.**

**აი, რა მოხდა პირველად საქართველოში.**

**ჯ. ჩ.**

### შეტყობინება

**ვატყობინებ ვლადიმერ ნუგზარის ძე კაპანაძეს სასამართლო სარჩელზე ისრაელში ქალაქ რიშონ ლიციონში საქმე №2131-2009 წ. რომელშიც ინა კაპანაძეს ენიჭება ხელმოწერის უფლება საბუთებზე ლევან კაპანაძისთვის ისრაელის მოქალაქეობის მიღებაზე. პასუხის ვადაა 30 დღე, გამოქვეყნების შემდეგ.**

**ინა კაპანაძე**

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 11 აპრილს

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ◉ ანეკდოტები

– შვილო, – ეუბნება მიხოს დედამისი, – ორშაბათიდან ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებთ! მე გახდომაზე ზრუნვას მივატოვებ, მამაშენი სიგარეტის წევასა და არყის სმას მიატოვებს, შენ კი რას იზამ?

– მე სკოლას მივატოვებ...

* * *

ახლახან ფერფლის გროვამ და ორმა რეზინის ლანჩამ მაღალი ძაბვის კაბელის მოპარვა სცადა.

* * *

ტიპი ძაღლს ყიდის.

– ჯანმრთელია? – ეკითხება მყიდველი.

– ჯანმრთელია!

– ჭკვიანია?

– ჭკვიანია!

– ერთგულია!

– ერთგულია და მეტი არა? უკვე მეხუთედ ვყიდი.

* * *

– რას შვრები ჭიჭიკია, როგორი ამინდია ქუთაისში?



– როგორი ამინდია და, ისე ცხელა, ისეთი გვალვაა, რომ ხეები და ბუჩქები ძაღლებს დასდევენ, მოგვაშარდეო!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.